ეროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!
ეროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!
ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდის ორშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს
№15 (1525) 20-22 თებერვალი, 1997 წელი

## ბატონო ედუარდ, ილაპარაკეთ, ოღონდ ქართულად ილაპარაკეთ!

**აი, ისევ** წამოყო თავი ოპოზიციამ, ისევ ბეწვს ეძებს სხვის თვალში, — დაიწყებენ თქვენი მედროვე, ვითომ მხარდამჭერები ქირქილს, როცა ამ სათაურს წაიკითხავენ. სათაურს, რომელიც უფრო მკაცრი სახელდებითაც შეიძლებოდა შეგვეცვალა, მაგალითად, ასე:

„მე ისეთ ქართველს რა ვუთხრა,
რა ვუთხრა ისეთ ამხანაგს...
ვინც ვერ ახერხებს ქართულად
წერას, კითხვას და ლაპარაკს!"

თქვენ, ბატონო პრეზიდენტო, ქართულად, რა თქმა უნდა, წერასაც, კითხვასაც და ლაპარაკსაც შესანიშნავად ახერხებთ, მაგრამ მერამდენედ უნდა გვატკინოთ გული.

ქართული ენის სახელმწიფოებრივ სტატუსზე თქვენი ზრუნვა, ნუთუ არ შეიძლება პრაქტიკულადაც გამოხატოთ.

სომხეთის პრეზიდენტი საქართველოში ჩამობრძანდა.

ის სომხურად უბნობდა, თქვენ კი რუსულად...

საქართველოს პრეზიდენტი აზერბაიჯანში ჩაბრძანდით.

ალიევი პრესკონფერენციაზე აზერბაიჯანულად საუბრობდა, თქვენ კვლავ რუსულად...

წარმოუდგენელია, შეგნებულად ცდილობდეთ ჩვენი ეროვნული თავმოყვარეობის შელახვას, არადა, როგორ ავხსნათ საქართველოს პრეზიდენტის ამგვარი ქმედება?

თქვენს გვერდით მდგომნი, ეტყობა, ვერ გიბედავენ მოკრძალებით შეგახსენონ, რომ დამოუკიდებელი ქვეყნის პრეზიდენტი ოფიციალურ შეხვედრებზე, თუკი მთარგმნელი მოიძიება (ასეთი კი აზერბაიჯანში შეუძლებელია არ ყოფილიყო), თავისი ქვეყნის სახელმწიფო ენაზედ უნდა საუბრობდეს. ან ვერ გიბედავენ, ან აინუნშიც არ აგდებენ და ძალზედ უმნიშვნელოდ მიაჩნიათ ეს საკითხი.

ჩვენ გვესმის, რომ თქვენგან რუსულად ლაპარაკი სხვათა ქვეყნების პრეზიდენტებთან პოლიტიკური რევერანსია მოსკოვის წინაშე! გვესმის, რომ დიდ დათვს რევერანსი სჭირდება ისევ ჩვენი ქვეყნის ინტერესებისათვის, მაგრამ, ჯერ ერთი, ამ რევერანსების ვერანაირ დადებით შედეგს ვერ ვხედავთ და მეორეც, ვერ ვხედავთ, რომ ტერ პეტროსიანისა ან ალიევისთვის პრობლემა შექმნილიყოს იმის გამო, რომ ისინი მშობლიურ ენაზე საუბრით თავიანთ ეროვნულ ღირსებას იცავენ...

საზოგადოდ, მოსკოვთან საქართველოს მაგინებლურმა და შემდგომ დამტკბარმა პოლიტიკამ გვიჩვენა ის, რომ მოსკოვს ცრემლების არ სჯერა, ანუ არც ჩვენგან ლანძღვა უხეთქავს გულს და არც მოფერება აღვარღვარებინებს ცრემლებს. იგი იქცევა მხოლოდ თავისი ცივი ინტერესების შესაბამისად.

გთხოვთ, ნუ მიიღებთ ამ ბარათს ნიშნის მოგებად.

ვფიქრობ, ჩემი და ჩემისთანების მოთხოვნა, შესახებ იმისა, რომ საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს სახელმწიფო ენაზე საუბრობდეს, ვითარცა თავისი ქვეყნის სახე და სიმბოლო, კი არ გაგაღიზიანებთ, პირიქით, სიამაყით აღგავსებთ თქვენს ქვეშევრდომთა ეროვნული სიფხიზლის გამო.

*პატივისცემით*

**ნოდარ გრიგალაშვილი**

## აკაკი ბაქრაძე: თავად კორუმპირებულები გაჰკივიან — არიქა, დასცხეთო კორუფციას!

მეორე-მეოთხე გვერდი



## გურამ ფანჯიკიძე: ეს მშვენიერი მწერალი ნაძირალა აღმოჩნდა

მეექვსე გვერდი

## ჩეჩნები ემზადებიან არქინბასაგან სისხლის ასაღებად...

მეორე-მეოთხე გვერდი

• რა, როდის და რომელ არხზე

იყიდეთ, იყიდეთ, იყიდეთ რამე...

მეშვიდე გვერდი

ლატარია «დაბადების დღე» 17 და 19 თებერვლის ლატარიის შედეგები

## ლეონარდო დევდარიანი საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ

საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგია შეუდგა საქმის განხილვას – „ლეონარდო დევდარიანი საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“. მოსარჩელის, დახურული ს/ს კულტურულ ცენტრ „მზიური“-ს პრეზიდენტის, ლეონარდო დევდარიანის დავის საგანია საქართველოს მთავრობის 1995 წლის 11 იანვრის №5 ბრძანებულების და ამ დოკუმენტიდან გამომდინარე, რუსეთში საქართველოს ელჩის 1995 წლის 16 ივნისის №54 ბრძანება. ამ დოკუმენტების თანახმად, მოსკოვში, არბატის ქ.№42-ში მდებარე №1 სახლი, რომელშიც განთავსებული იყო საქართველოს სავაჭრო ეკონომიკური წარმომადგენლობა და რომლის თანამშრომლებიც ზემოთ ხსენებული ს/ს-ის დამფუძნებლები არიან, არსებული ქონებით საელჩოს მფლობელობაში გადავიდა. მოსარჩელე თვლის, რომ სააქციო საზოგადოების შეყვანა საელჩოს დაქვემდებარებაში, ეს არის მისი საკუთრებისა და შრომის უფლებების ხელყოფა. მისივე თქმით, აღნიშნული ნორმატიული აქტებით დაირღვა მოსარჩელე დევდარიანის კონსტიტუციური საკუთრების უფლება, რომელიც კონსტიტუციის 21-ე მუხლით არის აღიარებული. აქედან გამომდინარე, ისინი ბათილად უნდა იქნეს ცნობილი. სასამართლო პროცესზე მოწმის სახით მოწვეული იყო საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი რუსეთში ვაჟა ლორთქიფანიძე. პროცესი გრძელდება. (იფრინდა)

## მინისტრი ცრუობს?!

ზუგდიდიდან გალის გამგებლის მოადგილემ რ.ჯანაშიამ გვაცნობა, ზუგდიდსა და ზუგდიდის რაიონში განლაგებულმა აფხაზეთიდან დევნილებმა, ლამის დაარბიეს ზუგდიდისა და გალის მერიები და ზუგდიდი-სენაკის სატრანსპორტო მაგისტრალის გადაკეტვით იმუქრებიან. დევნილთა ასეთი მღელვარება გამოიწვია დევნილთა და განსახლების მინისტრის ვალერი ვაშაკიძის ამასწინანდელმა განცხადებამ ტელევიზიით, რომ მისმა სამინისტრომ დევნილთა შემწეობის თანხის დეკემბერ-იანვრის დავალიანება ზუგდიდის რაიონში მთლიანად დაფარა. რ.ჯანაშიას განცხადებით, სინამდვილეში ბანკებში დევნილთა ანგარიშზე 18 თებერვლისათვის აღნიშნული თანხიდან არც ერთი კაპიკი არ ჩარიცხულა. აღშფოთებული დევნილები ადგილობრივ მმართველობას თანხების მითვისებაში სდებენ ბრალს. (იფრინდა)

## «რუსთავი-2»-ის უფლებები აღდგა

ბუშინ, ქალაქის სასამართლომ განიხილა „რუსთავი-2“-ის მიმართ კავშირგაბმულობის სამინისტროსა და სტუდიო „NPL“-ის საკასაციო საჩივრები. სასამართლომ ძალაში დატოვა მთაწმინდის რაიონის სასამართლოს 1997 წლის 5 იანვრის გადაწყვეტილება, რომლითაც „რუსთავი-2“-ის უფლებები აღდგენილ იქნა. გადაწყვეტილება ძალაში შევიდა. (იფრინდა)

*პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ თითქმის ვერას იტყვით მასზედ, რომ აზრი უმალ ხაკამათოდ არ იქცეს, – ბევრი ხელს ჩაიქნევს, ზურგს შემოგაქცევს და შეიძლება შემოგძახოს: მოგცლია, – ქვეყანა იღუპება! თუმც ფარულად ან საამკარაოდ მისი აზრი ბევრ გლეხს, მუშას და ა.შ. აინტერესებს.*

*დღეს ქართველთაგან უმრავლესობა ხშირად კილავს ამ ადამიანს და იცით რატომ? – ბ-ნი აკაკი ბაქრაძე პასიურობსო, იმალებაო. ამაზე ბ-ნი კიტა ბუაჩიძეც მიუთითებს თავის „შავზე შავ წიგნში“...თუმც ბევრნი ამ ქართველთაგან თვით არიან პასიურნი და კარის მეზობლებსაც რომ უკლავდნენ, კარს მიღმა დაიმალებიან.*

*შეუცდომელი ვინ არის, მაგრამ არის უნებლიე და განზრახული შეცდომები, რომელთაგან რაა საპატიო ან პირუკუ, ეს განსასჯელია...*

*მეოთხედი საუკუნე მაკავშირებს ბ-ნ აკაკი ბაქრაძესთან, არ ვართ დიდი მეგობრები, ხშირად მსურს ხოლმე მასთან საუბარი, – უარს არასოდეს მეუბნება და სტუმარ-მასპინძლობის შედეგებით ვკმაყოფილდები. ერთადერთი ინტერვიუ, რომელიც მას ჩამოვართვი „ლიტერატურული საქართველოსთვის“, ძირითადად 9 აპრილის ტრაგედიამ განაპირობა. ორიოდე თვის წინ კერძო საუბარში აკაკი ბაქრაძემ სინანულით აღნიშნა, რომ თუ რაიმე სასარგებლო აზრი გამოუთქვამს პრესის ფურცლებიდან, იგი უმალ დავიწყებას ეძლევა და იმედი ქრებაო...*

*უფალმა მომიტევოს, თუ ვცდები და, მე მაინც ავიღე საწერკალამი და გაუფრთხილებლად, გულისფანცქალით ბ-ნი აკაკისკენ გავემართე. ძველი ნაცნობ-მეგობრობის ხათრით ინტერვიუზე უარი ვერ მითხრა, თუმცა იმდენი ვისაუბრეთ, ჩემს კითხვებს აქ აღარც შემოგთავაზებთ და პირდაპირ მონოლოგის სახით გაწვდით ბატონ აკაკი ბაქრაძის საუბარს. ტექსტიდან კითხვები თავისთავად იგულისხება.*

თენგიზ თალაკვაძე



# აკაკი ბაქრაძე: თავად კორუმპირებულები გაჰკივიან — არიქა, დასცხეთო კორუფციას!

თავდაპირველად უნდა გითხრათ ის, რომ მე უარს ვეუბნები ყველას, ვინც ინტერვიუს, საუბარს შემომთავაზებს ამა თუ იმ გაზეთისათვის. ახლა გამონაკლისს ვუშვებ ჩვენი ძველი ნაცნობობის გამო. იმასაც გეტყვით, რატომ ვამბობ უარს. ეს არ არის უბრალო ახირება. ამას გარკვეული საფუძველი აქვს.

პირველი გახლავთ ის, რომ არის დრო, როცა სიტყვა სრულიად კარგავს ფასს და მას ყურს არავინ უგდებს. ახლა ასეთი დროა საქართველოში. არც ხალხი და არც ხელისუფლება არავითარ ანგარიშს არ უწევს იმას, რაც იწერება და იბეჭდება. დააკვირდით: დაიწერება, ვთქვათ, ამა თუ იმ ჩინოვნიკის შესახებ ესა და ეს დანაშაული ჩაიდინაო. ხალხი წაიკითხავს ამას და მხოლოდ იმას იტყვის – ეს ვინ ყოფილაო, ნახე რაები გაუკეთებია – და ამით ამოიწურება მისი დამოკიდებულება. არც იმას ითხოვს, რომ, თუ რაც დაიბეჭდა, ის მართალია, ჩინოვნიკი დანაშაულისათვის დასაჯეთო, და არც იმას – თუ ის, რაც დაისტამბა, ტყუილია, ცილისწამებაა, მაშინ ჟურნალისტსა და გაზეთს მოეთხოვოსო პასუხი. სიმართლის დადგენის არავითარი სურვილი არ უჩნდება. უბრალოდ, ან გაიკვირვებს ან კმაყოფილებით მოიფშვნეტს ხელებს და რაც წაიკითხა, იმას დავიწყებას მისცემს. არც ხელისუფლება იწუხებს თავს იმით, რაც იწერება. მისი დამოკიდებულება დაწერილ-დაბეჭდილისადმი გამოიხატება ფორმულით – წერეთ და იკითხეთ. ანდა სხვაგვარად – ძაღლი ყეფს და ქარავანი მიდის.

ასეთ ვითარებაში წერასა და ბეჭდვას არავითარი შედეგი არ ახლავს.

მეორე ის, რომ დაწერილ-დაბეჭდილისადმი ხალხის გულგრილი დამოკიდებულების გამო საქართველოში საზოგადოებრივი აზრი არ იქმნება. პრესა, რადიო-ტელევიზია საზოგადოებრივ აზრს ვერ აყალიბებს. ყველასათვის კარგად ცნობილია, რომ საქართველოს უთვალავი პრობლემა აწუხებს. ბევრის ჩამოთვლა არც არის საჭირო. საკმარისია დავასახელო მტრის მიერ ოკუპირებული ტერიტორია ჩვენი ქვეყნისა, მისი დაბრუნების საკითხი. ამ პრობლემისადმი გამაოგნებლად გულგრილია ხალხიც და ხელისუფლებაც. არც ხალხს აქვს რაიმე გეგმა წართმეული ტერიტორიის დაბრუნებისა და არც ხელისუფლებას. არ არსებობს რაიმე ერთიანი აზრი ამ საკითხზე. ერთი ერთს ამბობს, მეორე – მეორეს, მესამე – მესამეს და ა.შ. ყველაფერი მიმდინარეობს თვითდინებით. თვითდინებით კი არც ერთიანი საზოგადოებრივი აზრი შეიქმნება და, მით უმეტეს, არც პრობლემა მოგვარდება.

გნებავთ, მეორე მეტად საჭირბოროტო საკითხი ავიღოთ – ენერგეტიკული კრიზისი. ამაზე იწერება პრესაში, ლაპარაკია რადიო-ტელევიზიაში. თავად ენერგეტიკოსებიც ბევრს ვიშვიშებენ. შეიცვალა რამე? გადაიდგა წინ ნაბიჯი? რა თქმა უნდა, არა. საზოგადოებრივი აზრი მაშინ არის საზოგადოებრივი აზრი, თუ იგი პრობლემის მოგვარება-გადაწყვეტას უწყობს ხელს. თუ ამას ვერ ახერხებს, მაშინ საზოგადოებრივი აზრი არ არსებობს.

ზოგჯერ საზოგადოებრივი აზრის

გაგრძელება მე-4 გვ.

ჩეჩნეთის არჩევნები ქართველ დამკვირვებელთა თვალით

# ჩეჩნები ემზადებიან არძინბასაგან სისხლის აღსადებად...

*ინტერვიუ ქართველ პატრიოტთა ლიგის თავმჯდომარესთან გიგა ზაალიშვილთან*

– ბასაევი ომის გაგრძელებას აპირებს?

– ბასაევს ისეთი სახელი აქვს, რომ მისი პრეზიდენტობის შემთხვევაში ჩეჩნები ფიქრობდნენ რუსეთთან ურთიერთობა მძიმე და გართულებული იქნებოდა. რუსეთი, რა თქმა უნდა, კიდევ ბევრს დაკარგავდა, მაგრამ ჩეჩნეთის საერთაშორისო ავტორიტეტს ძირს დასწევდა. ამიტომ მასხადოვის გამარჯვება ლოგიკური იყო. რასაკვირველია, თუ რუსეთი კვლავ თავს დაესხმება ჩეჩნეთს, პასუხი საკადრისი იქნება, მაგრამ მასხადოვს სურს კავკასიაში ჩეჩნეთი გახდეს სტაბილურობის გარანტი. იგი აპირებს ჩეჩნეთი იყოს დემოკრატიული, სამართლებრივი სამოქალაქო საზოგადოების ქვეყანა, რომელშიც ისლამის საფუძვლებიც მტკიცე იქნება.

– ქვეყანა ისევ გასამხედროებული იქნება?

– ჯარი არ იშლება. 16 ფრონტის სარდლები იმავდროულად პოლიტიკური ავტორიტეტები არიან. მაგალითად, შამილ ბასაევი ცენტრალური ფრონტის, სალმან რადუევი გუდერმესის მიმართულების და ა.შ. მათი გავლენა ძალიან დიდია.

– რუსებს გაეხარდათ ასლან მასხადოვის გამარჯვება. გაუმართლებს იგი მათ იმედს?

– გააჩნია რისი იმედი აქეთ. რუსეთთან ყველა მოლაპარაკების დროს მასხადოვი დიალოგის გაგრძელებას უჭერდა მხარს. ასევე ცნობილი არაა მისი ტერაქტებში მონაწილეობა. რეალურად თუ შევხედავთ, რუსეთის მხრიდან ეს სირაქლემას პოზიციაა. არც ერთი აქცია, რომელიც ბასაევმა და რადუევმა გააკეთეს რუსეთის წინააღმდეგ, თვითნებურად არ მომხდარა. ყველაფერი იგეგმებოდა ცენტრალურ შტაბში. გამოყოფილი იყო თანხა და შეიარაღებული ძალები. ეს იყო სუფთა საბრძოლო დივერსიული ოპერაციები მტრის ზურგში და არა ტერაქტები, როგორც ამას რუსეთი წარმოადგენს.

– რუსეთის მხრიდან ჩეჩნეთის ლიდერების წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეა აღძრული. ახლა, როდესაც რუსეთმა არჩევნების ლეგიტიმურობა აღიარა, როგორ წავა საქმე?

– პრეზიდენტად არჩევის შემდეგაც რუსეთის პროკურატურას არ მოუხსნია ეს ბრალდება მასხადოვის მიმართ. მხოლოდ აღნიშნეს, რომ ასლან მასხადოვი, როგორც რუსეთის ფედერაციის სუბიექტის ხელმძღვანელი, სარგებლობს იმუნიტეტით.

– ჩეჩნები მუსულმანები არიან და ალბათ მჭიდრო კავშირი სურთ აღმოსავლეთის ისლამურ ქვეყნებთან.

– მათ ძალიან არაერთგვაროვანი დამოკიდებულება აქვთ ამ საკითხში. ძალიან ბევრი პრეტენზიები მოვისმინე ჩეჩნეთის ხელისუფლების წარმომადგენლებისაგან და ლიდერებისაგან. მაგალითად საუდის არაბეთი. იგი ისლამური სამყაროს ერთ-ერთი ლიდერია. იქ არის ყველა ისლამური რელიგიური სიწმინდე. საუდის არაბეთმა ჩეჩნეთ-რუსეთის ომის დროს 6 მილიარდი ვალი აპატია რუსეთს. ამავე დროს იქიდან რამდენიმე ათასი დოლარი გამოუგზავნეს ჩეჩნეთის ხელისუფლებას, რომლისგანაც ნახევარიც კი არ ჩასულა ადგილზე. ასევე იყო საუდის არაბეთიდან მცირე ჰუმანიტარული და სულიერი დახმარება ყურანების სახით. ჩეჩნები უკმაყოფილოები არიან, 6 მილიარდის პატიებას საუდის არაბეთს ვალი რომ მოეთხოვა, რუსეთი ამდენ სამხედრო ძალას ვეღარ დააყრიდა თავზე ჩეჩნეთის მოსახლეობასო. ეს საუდის არაბეთი, სხვა ქვეყნების დახმარებაც იმდენი არ ყოფილა, როგორც ზოგიერთები ხატავენ. პოლიტიკურ დახმარებას რაც შეეხება, არც ერთ ისლამურ სახელმწიფოს ოფიციალურად არ უცვნია ჩეჩნეთის რესპუბლიკა. ომის დამთავრების შემდეგ ჩეჩნეთს აღმოსავლეთიდან მოაწყდნენ ისლამის განმანათლებლები და სხვადასხვა სექტები. ჩეჩნებიც და პრეზიდენტიც თვლის, რომ ისლამის სწავლა მათ არ სჭირდებათ, ამ მხრივ საკმაოდ გათვითცნობიერებულები არიან. როგორც გითხარით, დამოკიდებულება არაერთგვაროვანია. ერთის მხრივ ისინი პატივს სცემენ თავის მუსულმან ძმებს მთელი მსოფლიოდან, მაგრამ მათი პოლიტიკის გატარებას ჩეჩნეთში არ აპირებენ.

– აზერბაიჯანელებთან რა დამოკიდებულება აქვთ?

– ძალიან მადლობლები არიან, მათ ომის დროს დიდი დახმარება გაუწიეს ჩეჩნეთს. ილებდნენ და სხვა ქვეყნებში სამკურნალოდ აგზავნიდნენ დაჭრილებს, იფარებდნენ ლტოლვილებს, აგზავნიდნენ საკვებს და მედიკამენტებს. ჩეჩნეთისთვის სიცოცხლის გზა აზერბაიჯანზე გადიოდა. სოლცარი სხვა იყო, ჩვენ მათ ევრაფრით დავეხმარეთ და არც სურვილი გამოუთქვამს ჩვენს ხელისუფლებას, პირიქით. მაგრამ ყველა ჩეჩენი ძმად მიგვიჩნევდა და აღიარებდა, რომ ძმა უფრო ახლობელია, ვიდრე პოლიტიკური თუ სულიერი მეგობარი. ამაზე აზერბაიჯანლები ძალიან ეჭვიანობდნენ. სიტუაციის განმუხტვის მიზნით ვიწყებდით ანეკდოტების მოყოლას და ვეხუმრებოდით ერთმანეთს. ჩეჩნებს გამორჩეული იუმორის გრძნობა აქვთ, ამიტომაც გვგვანან, აზერბაიჯანლები ვერ გვეწეოდნენ და ისევ იბუტებოდნენ.

– კონკრეტულად თუ გაიხსენებ რამეს?

– უჰ, იმდენი ასეთი სიტუაცია იყო, რას ჩამოთვლი. არც ერთს არ დაგვკლებია გაკენწვლა. მიუხედავად მგზავრობის სირთულეებისა და სხვადასხვა ექსცესებისა, ძალიან მხიარული ვიზიტი იყო. ერთხელ საიდ მუჰამედ ჩუპალაევმა, ცენტრალური ფრონტის შტაბის უფროსმა, ჩვენს აზერბაიჯანელ მეგობარს, ჟურნალისტს უთხრა: „აზერბაიჯანელ ხალხს ომის სულაც არ ეშინია, მაგრამ სკანდალს ერიდებაო“, ჩვენ კი მოგვესალმა: „გაუმარჯოს ქართველ მგლებსო!“ ეწყინა ჩვენს აგასის და სიტუაციის განმუხტვის მიზნით ეთქვა: თქვენ რა გიჭირთ, სინათლეც გაქვთ, სითბოც და საჭმელიც, მაძღარი მგლები ხართ უკვე, ჩვენ კი დამშეულ, გაყინულ მგლებს გასაძღომი წინა გვაქვს-მეთქი. ამით ის მინდა ეთქვა, რომ საქართველოს ავტორიტეტი კავკასიაში მხოლოდ მაშინ აიწევს, როდესაც ჩვენ ადრე დამარცხებულ კონფლიქტებში გავიმარჯვებთ.

– რას ამბობენ ჩეჩნეთის პოლიტიკური მოღვაწეები აფხაზეთის კონფლიქტის შესახებ და ჩეჩნების მონაწილეობაზე ამ კონფლიქტში?

– ყველაზე კარგად განწყობილი ერიც კი, შეიძლება შესაბამისი აგიტაციის შედეგად, ჩვენს წინააღმდეგ განეწყოს, რადგან ჩვენ ჩვენი ულიმღამო პოლიტიკით უამრავ ცარიელ ლაქებს ვტოვებთ მეზობელ ერთა ცნობიერებაში. უნდა ვთქვათ, რომ საქართველოში გაღვივდა ანტიჩეჩნური ისტერია და არა პირიქით. სხვათაშორის, ეს დაიწყო აფხაზეთის ომამდე დიდი

გაგრძელება მე-6 გვ.

გაგრძელება (დასაწყისი იხ. „საქართველო“ №14)

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარლამენტი

# კრება დარჩა მხიარული

*პარლამენტის საბიუჯეტო სპექტაკლი, როგორც ჩვეულებრივ მელოდრამებში ხდება ხოლმე, „ჰეპი ენდით“ დამთავრდა. ყველაფერი იმავე სცენარით მიმდინარეობდა, როგორც ადრე: უმრავლესობამ ზოგიერთი წარმომადგენლის ოპორტუნისტული განწყობილებები ჩააქრო და სხვა ფრაქციების გადმობირებას მიჰყო ხელი. პირველი, – სოციალისტი რჩეულიშვილი გამოეცალა ხელიდან ოპოზიციურად განწყობილ პარლამენტის წევრებს. წინა სხდომებზე აბობოქრებული, ხალხის გაჭირვებით გულშეძრული რევოლუციონერი თავდაჯერებულმა და თვითკმაყოფილმა ბურჟუამ შესცვალა, რომელმაც შესაბამისი ინტონაციით გამოაცხადა ბიუჯეტის მიღებაზე თანხმობა. „მაჟორიტარების“ შემდეგ ჯერი ფრაქცია „აღორძინებაზე“ მიდგა; საგადასახადო ინსპექციის ხელმძღვანელის დავით სალარიძის ბათუმში ჩასვლამ ფრაქცია „აღორძინებაც“ ბიუჯეტისადმი კეთილად განაწყო.*

ფრაქცია „ამომრჩეველმა“ იფიქრა, იფიქრა და, საერთო ნახირს არ ჩამოვრჩეო, დღის ბოლოს ჟვანიასთან და იაკობიძესთან შეხვედრა მოითხოვა – წუთშესვენების შემდეგ კი, ნესტან კირთაძის ადრე ნათქვამ რეპლიკას თუ მოვიშველიებთ, „ამომრჩეველიც“ შადმან ვალავიში შევიდა.

ზურაბ ჟვანიას ნათქვამისა არ იყოს, კანონპროექტისადმი ოპოზიციურმა დამოკიდებულებამ ორადგახლეჩილი ეროვნულ-დემოკრატები ამჯერადაც გააერთიანა.

კენჭისყრამდე, საპროცედურო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე დალი აბაშიძე შეეცადა პრეზიდენტის რწმუნებულების ინსტიტუტის კანონიერება იმით დაემტკიცებინა, რომ თურმე რწმუნებულები მხედრიონის წინააღმდეგ უკომპრომისოდ იბრძოდნენ კახეთის რეგიონში.

ამან სახალხო ფრაქციის თავმჯდომარის, მამუკა გიორგაძის სარკასტული შენიშვნა გამოიწვია. უნდა ითქვას, რომ მამუკა გიორგაძე ჩვეული პათოსით ბობოქრობდა ტრიბუნაზე, მაგრამ რადგან ბიუჯეტის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო, მთელი თავისი



ქარცეცხლიანი ენერგია გაზეთ „მოქალაქეს“ და საერთოდ მოქალაქეთა ფრაქციას დაატეხა თავს.

„მოქალაქეებისგან რაიონებში კორუფციასთან მებრძოლი შტაბების გახსნა, სწორედ კორუფციის მხარდამჭერთა მოძრაობის გაძლიერებად უნდა მივიჩნიოთ“ – თქვა მან. ხოლო გაზეთ „მოქალაქის“ კრიტიკა ძველი, კომუნისტური დროის განწყობილებათა აღორძინებად ჩათვალა.

გაზეთების პუბლიკაციათა კრიტიკა 18 თებერვალს პარლამენტის დეპუტატებისათვის აქტუალური იყო, რადგან დავით ზეიკიძემაც კი პირად განცხადებაში მოიხსენია გაზეთი „ასავალ-დასავალი“, რომელმაც ერთ-ერთი რაიონის მოსამართლის ინტერვიუ დაბეჭდა მის წინააღმდეგ. პარლამენტის წევრს თავი, ეტყობა, პოლიციის ღამის მორიგეობაზე ეგონა და კოლეგებსა და მთელს საქართველოს ანეკდოტად მოუყვა და წაილაღავა – „ლაური ჯანაშია მოვიტაცე, ტყეში წავიყვანე, გავაშიშვლე და კაცი რომ აღმოჩნდა, აღარაფერი მიქნია, სახლში გამოვუშვიო“.



როგორც ეტყობა, პარლამენტის წევრები ან შეჩვეულები არიან დათო ზეიკიძის პოლიციურ ანგლობას, ან ისე იყვნენ დაღლილები, რომ აღარაფერი ესმოდათ. ამიტომ არავითარი რეაქცია არ ჰქონდათ. 19 თებერვალს კი ფინანსთა მინისტრი თითქმის მთელი დღის განმავლობაში ტრიბუნასთან იდგა და მონოტონურად აძლევდა პასუხებს პარლამენტის დეპუტატთა შეკითხვებს.

მოკლედ, თავი რომ არ შეგაწყინოთ, ბიუჯეტი პირველი მოსმენით პარლამენტმა მიიღო 163 ხმით – 30 წინააღმდეგ. ასე რომ, დიდი აურზაურის შემდეგ კრება დარჩა მხიარული.

მანანა იაშვილი

## ტრადიციონალისტები და ქართველები ერთადერთი იდეით...

გუშინ, 19 თებერვალს, ჟურნალისტთა სახლში გაიმართა ტრადიციონალისტთა კავშირისა და ქარტია 91-ის პრესკონფერენცია, რომელიც მათ მიერ მიღებულ „მცხეთურ მანიფესტს“ – მიეძღვნა. მანიფესტი კონსტიტუციური ვაკუუმის შევსების და ქვეყნის ტერიტორიალური მოწყობის ფედერალურ გზას გვთავაზობს. ამ პრობლემებთან დაკავშირებულ საკითხებზე მასმედიის წარმომადგენლებს თავიანთი პოზიციები გაუზიარეს ბ-ნმა აკაკი ასათიანმა და თედო პაატაშვილმა.

აკაკი ასათიანი: დღეს ქვეყნის მთავარ პრობლემას წარმოადგენს ტერიტორიალური მთლიანობის აღდგენის საკითხი. არ ხდება ხელისუფლების მიერ ამ პრობლემის მოსაგვარებლად კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა. საქართველოს გააჩნია ყველა პირობა იმისათვის, რომ მან კავკასიური ლოკომოტივის როლი ითამაშოს, ოღონდაც იმ შემთხვევაში, თუკი მისი ტერიტორიული მოწყობის საკითხები გარკვეული იქნება. სამწუხაროდ, საზოგადოებაში ამ საკითხს აქტუალურობა დაკარგული აქვს. სახეზეა შეგუება გადაუჭრელი პრობლემის მიმართ. ხელისუფლების მცდელობებს, მოლაპარაკებების და შეხვედრების გზით გადაიჭრას ეს პრობლემა, შედეგი არ მოაქვს. ჩვენ გთავაზობთ ქვეყნის ტერიტორიული მოწყობის დღესდღეობით ყველაზე მისაღებ მოდელს – ფედერალურ სახელმწიფოს. ასეთი მოწყობის უარყოფით მხარედ სეპარატიზმის პრობლემას ასახელებენ. მაგრამ განა სახეზე არ გვაქვს ომისშემდგომი ფედერალური გერმანიის მაგალითი? თუ დღევანდელი რეალობა შენარჩუნდა, ჩვენ აუცილებლად დავკარგავთ აფხაზეთს იურიდიულად.

თედო პაატაშვილი: დღეს მსოფლიოს მე-3 გადანაწილების პროცესი დასასრულს უახლოვდება, ჩვენ კი ჯერ გარკვეულიც კი არა გვაქვს ჩვენი პოზიცია და ადგილი მიმდინარე მსოფლიო პროცესებში. ფაქტი კი ის არის, რომ პარტიზანულმა მოძრაობამ აფხაზეთში მეტი შედეგი მოიტანა, ვიდრე მოლაპარაკებათა რაუნდებმა. მე ვთვლი, რომ ლოდინი დღეს საქართველოსათვის დამღუპველია, სასწრაფოდ უნდა შეივსოს კონსტიტუციის ის ფურცლები, სადაც ქვეყნის მოწყობის შესახებ არის საუბარი. ამას მოყვება სამშვიდობო ჯარებზე უარის თქმა და ვფიქრობ, მოლაპარაკების სურვილი სეპარატისტთა მხრიდან 200%-ით მაინც გაიზრდება. ამდენად დღეს ლაპარაკია ხელისუფლების მიერ გადაწყვეტილების მიღების უნარზე. მართალია, ფედერალიზმის იდეას ბევრი მოწინააღმდეგე შეიძლება გამოუჩნდეს, მაგრამ ეს საკითხი უნდა დადგეს და საზოგადოებრივი აზრი უნდა მომწიფდეს ამ ნაბიჯისათვის.

კობა კიკნაძე

## ისე შორია სამაჩაბლომდე...

18 თებერვალს სახელმწიფოს მეთაურის კანცელარიაში ჩატარდა ბ-ნ ირაკლი მაჭავარიანის პრეს-კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა 12–14 თებერვალს ვლადიკავკაზში ჩატარებულ ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგების შერეული სამთავრობო კომისიის მე-7 სხდომას. ეს კომისია შექმნილი იქნა 1992 წლის ივლისში ცნობილ სოჭის (დაგომისი) შეთანხმების საფუძველზე. მასში ოთხი მხარე მონაწილეობს და ოთხი თანათავმჯდომარე გააჩნია. პრეზიდენტის 1996 წლის დეკემბრის ბრძანებულების თანახმად ქართულ მხარეს ბ-ნი ირაკლი მეთაურობს. კომისიის შემადგენლობაში 30 კაცია, რომლებიც კონფლიქტის მოგვარებაში მონაწილე სამინისტროებს და უწყებებს წარმოადგენენ. როგორც წესი, სხდომა ადგენს მომდევნო შეხვედრის დღის წესრიგს. მე-7 შეხვედრის დღის წესრიგში შემდეგი საკითხები იდგა: 1) სამშვიდობო ძალების მოქმედების შესახებ და 2) ლტოლვილთა დაბრუნების პრობლემების შესახებ. გარდა დღის წესრიგის საკითხებისა, სხდომის პერიოდში სხვა საკითხებზეც მიდიოდა მსჯელობა, ბ-ნ ირაკლის თქმით, მიღწეულია მთელი რიგი შეთანხმებები, მათ შორის კონტიგენტის შემცირების, მათთვის პოლიციური უფლებების ჩამორთმევის, ლტოლვილთა დაბრუნების პროცესის გააქტიურების და კონფლიქტის ზონის ეკონომიკური აღორძინების თაობაზე, კომისია მოქმედებს და მხარეთა ურთიერთდაახლოების პროცესი გრძელდება. კითხვაზე, თუ როდის შეიძლება ჩაითვალოს კომისიის ფუნქციები ამოწურულად, ბ-ნმა ირაკლიმ პასუხი ვერ გასცა. ასე რომ, ჯერჯერობით კომისიის მუშაობის შედეგები ქაღალდზე უფრო შესამჩნევია. სამაჩაბლოში კი ქართველთა დაბრუნების დღევანდელი სიტუაციიდან გამომდინარე მრავალწლოვანი „პერსპექტივები“ გააჩნია...

კ.კიკნაძე

## «წმინდა ილია მართლის» საზოგადოებამ «კანონიერი ხელისუფლების» აღდგენის მექანიზმი წარმოადგინა

გაიმართა სრულიად საქართველოს წმინდა ილია მართლის საზოგადოების პრეს-კონფერენცია. საზოგადოებამ წარმოადგინა მათ მიერ შემუშავებული „კანონიერებისა და კანონიერი ხელისუფლების აღდგენის მექანიზმი“, რომელიც საზოგადოების წევრთა აზრით, საქართველოს მოსახლეობისა და პოლიტიკური ორგანიზაციების უმრავლესობისათვის მისაღები იქნება. დოკუმენტში ნათქვამია, რომ „კანონიერი ხელისუფლების აღდგენის მექანიზმის ამოქმედება შესაძლებელია ფაქტობრივი ხელისუფლების მხრიდან იმ წინაპირობების შესრულების შემდეგ, რომელსაც „წმინდა ილია მართლის“ საზოგადოება ხელისუფლებას სთავაზობს. კერძოდ, 1991–92 წლის სახელმწიფო გადატრიალება შეფასდეს, როგორც საქართველოს რესპუბლიკის შემდგომი ოკუპაცია-ანექსიისაკენ მიმართული აქტი; ხელისუფლებამ იკისროს პასუხისმგებლობა 1992 წლიდან ერის წინაშე ჩადენილ ყველა დანაშაულზე; დაუყოვნებლივ გამოსცეს მანიფესტი (პოლიტიკური ამინისტია) „დევნილი კანონიერი ხელისუფლებისათვის“. (იფრინდა)

## „ჯიხურების აღება ხელისუფლების დიდი შეცდომაა“

თავისუფლების პარტიის საკოორდინაციო ბიუროს განცხადებით, თბილისში სავაჭრო ჯიხურების ადმინისტრაციული მეთოდებით აღება ხელისუფლების დიდი შეცდომა იყო, რადგან საარსებო წყაროს გარეშე დარჩა დაახლოებით 200 ათასამდე ოჯახი, რომლებიც მზად არიან ქუჩაში გამოსასვლელად. მათივე აზრით, პარტიას შეუძლია ამ ხალხის გარეთ გამოყვანა, თუმცა ეს აქცია ზიანს მიაყენებს სახელმწიფოს, რის გამოც ისინი ამისგან თავს იკავებენ. თავისუფლების პარტიის საკოორდინაციო ბიუროს პროგნოზით, დაახლოებით 10–15 წელში თავისუფლების პარტია ხელისუფლებაში მოვა და პრეზიდენტის პოსტზე თავიანთ კანდიდატურას დაასახელებს. (იფრინდა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მხილებულია „ედელვაისი“

საგადასახადო სამსახურის პრეს-ცენტრის ცნობით, საგადასახადო ოპერატიული სამმართველოს მიერ საგადასახადო ორგანოებში არარეგისტრირებული სამეწარმეო საქმიანობის ფაქტზე მხილებულია გლდანის რ-ნის ფირმა „ედელვაისი“-ს დირექტორი ჯუმბერ დეკანოიძე, რომელიც მის კუთვნილ ბინაში განთავსებულ საამქროში ულიცენზიოდ და სანიტარული ნორმების უხეში დარღვევით აზდენდა შუშხუნა ღვინოს „ედელვაისი“-ს ჩამოსხმას და დანაშაულებრივი გზით თავს არიდებდა ბიუჯეტთან ანგარიშსწორებას. საექსპორტო შემოქმებით საამქროში წარმოებული პროდუქცია ფალსიფიცირებულია.

საამქროში აღმოჩენილი იქნა გასაყიდად გამზადებული 3600 ბოთლი ღვინო, დიდი რაოდენობით საცობები და ეტიკეტები. მოკვლეული მასალები შსს-ს საგამოძიებო დეპარტამენტს გადაეცა. (იფრინდა)

# აკაკი ბაქრაძე: თავად კორუმპირებულები გაჰკივიან — არიქა, დასცხეთო კორუფციას!

მეორე გვერდიდან

შესაქმნელად ხელისუფლება თავად დგამს კომედიას. მაგალითად, ახლა ამგვარ კომედიას კორუფციის წინააღმდეგ თამაშობენ. კორუფციის წინააღმდეგ ხელისუფლების მიერ დაკვეთილი სტატიებიც მრავლად იბეჭდება. არის ეს საზოგადოებრივი აზრის შექმნა? ცხადია, არა. ის, რაც ახლა ვითომ კორუფციის წინააღმდეგ ხდება, სინამდვილეში არის კორუფციის დაცვა, მისთვის ხელის შეწყობა, ამდენად, ანტისაზოგადოებრივი აზრია.

კორუმპირებული არ შეიძლება იყვნენ უბრალო, რიგითი მოქალაქენი. მათ ამის საშუალება არა აქვთ. კორუმპირებული მხოლოდ ხელისუფლება, ჩინოვნიკობა შეიძლება იყოს, რაკი მათ აქვთ კორუფციის საშუალება. მაშასადამე, როცა კორუფციას „უცხადებს“ ბრძოლას ხელისუფლება, არსებითად ბრძოლას „უცხადებს“ თავისთავს. რა საჭიროა ეს? ხელისუფლებამ ხომ ზედმიწევნით ზუსტად იცის, ვინ არის კორუმპირებული. მოსთხოვოს მას პასუხი დანაშაულისათვის. ანდა, თუ ვინმემ სინდისის ქენჯნა იგრძნო, — კორუფციაში ჩავეფალი, ეს რა დამემართაო, — მაშინ გადადგეს. აღიაროს დანაშაული და პოსტი დატოვოს. ამას ხომ არავინ აკეთებს. პირიქით, ყოველი ხელისუფალი ისე ებღაუჭება თანამდებობის სკამს, რომ ვერარა ძალით გამოგლეჯთ ხელიდან. არც იმას აპირებს, ვინმეს პასუხი მოსთხოვოს დანაშაულისათვის. თავად კორუმპირებულები გაჰკივიან — არიქა, დასცხეთო კორუფციას. ისე იქცევიან, როგორც ბაზრის ჯიბგირები. ბაზრის ჯიბგირი, რომელიც მოქალაქეს ფულს ამოაცლის ჯიბიდან, ზოგჯერ თავად იწყებს ყვირილს — ქურდი, ქურდი არ გაუშვათო. მოქალაქეებს გზა კვალი რომ აუბნიოს, სხვა მიმართულებით იშვერს ხელს. დაბნეული დაზარალებულიც იქით გარბის, სადაც დამნაშავე არ არის. ჯიბგირი კი არხეინად ახერხებს მიმალვას. ამ ჯიბგირივით იქცევა კორუმპირებული ხელისუფლება, როცა ვითომც ებრძვის კორუფციას.

ასეთ ვითარებაში წერასა და ბეჭდვას რეალური შედეგი არ ახლავს.

მესამე კი ის გახლავთ, რომ დღეს ხელისუფლება პრესას, რადიო-ტელევიზიას ისევე ეპყრობა, როგორც კომუნისტური რეჟიმის დროს კომპარტიის ცკ-ში გაგზავნილ ხელმოწერილ თუ ანონიმურ წერილებს ეპყრობოდა. გახსოვთ, ალბათ, მაშინ ცენზურის მიერ მკვეთრად იყო განსაზღვრული — რა შეიძლებოდა დაბეჭდილიყო და რა — არა. ურიცხვი გასაჭირით გაბეზრებული ადამიანები გულისტკივილის გამოსახატავად კომპარტიის ცკ-ში აგზავნიდნენ წერილებს, პატიოსნები — ხელმოწერით, უნამუსოები — ანონიმურად. ამ წერილებს არავინ კითხულობდა. აგროვებდნენ და სანაგვეში ყრიდნენ. ისე, ზოგჯერ, ხანდახან, ძალიან იშვიათად რომელიმე წერილს გამოეხმაურებოდნენ. აქაოდა, მშრომელთა საჩივრებს უყურადღებოდ არ ვტოვებთო.

ახლა ხელისუფლებას აღარავინ (თუ სულიერი სნეულებით არ არის „ავად) უგზავნის ბარათებს. ყველაფრის დაბეჭდვა შეიძლება, დედის გინებისაც კი. ეს ერთობ კარგ ტონად ითვლება და ყველა




გ. აბაშიძის ნახატი

გაზეთის კარი ღიაა. რაკი იმ ხელმოწერილმა თუ ანონიმურმა წერილებმა, რაც წინათ კომპარტიის ცკ-ში იგზავნებოდა, მას-მედიაში გადაინაცვლა, ხელისუფლებაც ძველებური უყურადღებობით და გულგრილობით ეპყრობა დაბეჭდილ სტატიებს. ეს მეტად ადვილად შესამუშავებელი პოზიცია იყო, რაკი ძალაუფლება ისევ ნაკომკავშირალ და ნაკომუნისტარ ჩინოვნიკებს უპყრიათ. ძველ გამოცდილებას ეფექტურად იყენებენ.

ასეთ ვითარებაში წერასა და ბეჭდვას ფუჭი შრომის შინაარსი აქვს. ფუჭი შრომა კი უსაქმურობაზე ბევრად უარესია.

კალამი თოფი არ არის, რომ ადამიანმა იგი შურისძიების იარაღად გამოიყენოს. კალამი, რამდენადაც ეს შესაძლებელია, სიმართლის დადგენას უნდა ემსახურებოდეს. სამწუხაროდ, დღეს კალამი ძირითადად შურისძიებას ემსახურება, რაც მას ეთიკურ ძალას უკარგავს. იმ ნდობას ართმევს, ურომლისოდაც წერა-ბეჭდვას ფასი და ღირებულება არა აქვს. ამას მეოთხე ნიშნად იმასაც თუ დავამატებთ, რომ პრესამ ეთიკური ღირსება დაკარგა, — ყველაფერს კადრულობს საარსებოდ რამდენიმე გროშის საშოვნელად, — უეჭველი გახდება, რატომ არ იზიდავს ადამიანს მას-მედიაში თანამშრომლობა.

ყოველივე ზემოთქმულმა განაპირობა ჩემი გულგრილი დამოკიდებულება პრესისა და რადიო-ტელევიზიის მიმართ.

გაგრძელება იქნება

# „ეროვნული“ საბჭო ჟურნალისტებისათვის?

როგორც 6 თებერვალს „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებული პროექტის წინასიტყვაობაში წერია, „მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ეროვნული საბჭოს“ მეოხებით ავტორს სურს, ხელი შეუშალოს მამედიის — იგივე ჟურნალისტიკის შეზღუდვას ოფიციოზისაგან. იქნებ, მას ეს გულწრფელად სურს, მე კი, აგრეთვე, გულწრფელად ვფიქრობ, რომ სწორედ საპირისპირო რამ გამოვა, რადგან როდესაც იურიდიულად გაფორმდება სიტყვის თავისუფლების დაცვის უწყება (?), მას ისევე დაეპატრონებიან ჩვენში ობივატელები და ბიუროკრატები, როგორც ნებისმიერ მსგავს უწყებას, სადაც რაიმე მატერიალურად, მითუმეტეს, უფლებრივად, გამოსარჩენი მოიძებნება (ამაზე კონკრეტულად ოდნავ ქვემოთ). კარგა ხანია, დემოკრატიული სახელმწიფოების ისტორიამ დაამტკიცა, რომ სიტყვის ანუ აზრის თავისუფლებას ისევ სიტყვა ანუ აზრი იცავს, — ამიტომაც ჰქვია ჟურნალისტიკას მეოთხე ხელისუფლება, ამიტომაც რეგულირდება მისი მოღვაწეობა ცივილიზებულ ქვეყნებში მხოლოდ კანონით, სამართლით. ბოლო ხუთ წელიწადში სწორედ პრესის კარგი კანონი იყო სამართლიანობის კუნძული საქართველოს მამედიაში, რადგანაც რადიო-ტელევიზია, სამწუხაროდ, სრულად ვერ გამოვგლიჯეთ მთავრობას („პარტია არ დათმობს რადიო-ტელევიზიას!“ — ახლაც ჩამესმის ერთ-ერთი, ყოფილი ცკ-ს მდივნის ხმა).

პროექტში წერია, რომ მასობრივი ინფორმაციის ე.წ. „ეროვნული საბჭო“ შედგება თორმეტი წევრისაგან. სამ წევრს ნიშნავს პრეზიდენტი, — ე.ი. უკვე სამი კაცია მთავრობიდან პირდაპირ, ჯიქურ. ორ დეპუტატს გვთავაზობს პარლამენტი, — აქედანაც, ბუნებრივია, მორჩილი უმრავლესობა ერთ კანდიდატს მაინც გაიყვანს. საბჭოს ერთ-ერთ წევრს ნიშნავს სასამართლო ხელისუფლების უმაღლესი ორგანო (ესეც ოფიციოზია). დანარჩენ ხუთ წევრს აირჩევს ფარული კენჭისყრით ჟურნალისტთა კონფერენციაო, წერია პროექტში (არ ვიცი, რატომ ავიწყდება ავტორს, რომ საქართველოში არსებობს ჟურნალისტთა კავშირი), — ახლა ისიც გავითვალისწინოთ, ამ ხუთ კაცში რამდენი „გაძვრება“ მთავრობის მოტაშფანდურე. ჰო, არ დავივიწყოთ თავმჯდომარეც, რომელსაც ხმების თანაბრად გაყოფისას გადამწყვეტი ხმის უფლება ექნება. ესეც მარტივი მათემატიკა და „დემოკრატიული“, „ეროვნული საბჭო“.

ახლა სხვა „წვრილმანებზეც“: პროექტი ე.წ. „ეროვნულ საბჭოს“ აძლევს ლიცენზიების გაცემა-აკრძალვის, გადასახადების აკრეფა-განკარგვის, საეთერო დროისა და სიხშირეების განსაზღვრის, საინფორმაციო ბანკების შექმნის, პუბლიკაციების მიზანშეწონილობის გარკვევის არგაგონილ უფლებებს, რომლის დროსაც ხან ფინანსთა და კავშირგაბმულობის სამინისტროების, ხანაც მერიის, რედაქციებისა თუ ფირმა-საწარმოების უფლებებში იჭრება. ეს იქნება სახელმწიფო სახელმწიფოში, ასე ვთქვათ, „მასმედიის ცეკავშირი“ თუ ჰებელსისეული „პროპაგანდის სამინისტრო“ არა (იხილეთ მე-6 მუხლი — „ეროვნული საბჭოს სტრუქტურა“).

ავიღოთ ერთი საყურადღებო ფრაზაც წინასიტყვაობიდან: „პოლიტიკურ პროპაგანდაში დაინტერესებულ სუბიექტებს (სახელმწიფო, პოლიტიკური ორგანიზაციები და მოღვაწეები) ეზღუდებათ რადიო-ტელევიზიის დაფუძნების უფლება, რათა არ მოხდეს მონოპოლიზაცია“ და ა.შ. ერთი შეხედვით, დემოკრატიული სურვილია, მაგრამ, მოდით, წავიკითხოთ ქვეტექსტიც: ჩვენ ხომ უკვე ვიცით, რომ სახელმწიფოს არაფერიც არ შეეზღუდება, მაშ, ვინღა დარჩა? — „პოლიტიკური ორგანიზაციები და მოღვაწეები“. ესეც პლურალიზმი და დემოკრატია.

დღეს მოქმედი კანონი ათას ეგზემპლარამდე დაბეჭდილ პუბლიკაციას არ ავალდებულებს სარეგისტრაციო ფორმალობებს, ახალი პროექტი კი ხუთასამდე ამცირებს ამ ციფრს, პირდაპირ შუაზე ჩეხს. რატომ? პირიქით არ უნდა იყოს, თუ სიტყვის თავისუფლებას მართლა ვუჭერთ მხარს?

პროექტი სალიცენზიო კომისიას სამ თვემდე უგრძელებს პასუხის გაცემის ვადას, სამი თვე უნდა ელოდინოს ჟურნალისტური ორგანოს დამფუძნებელი მაშინ, როცა მოქმედი კანონი ერთ თვეში იძლევა პასუხს.

მე-18 მუხლის მე-10 თავში ასეთი საოცრებაა: „მასობრივი ინფორმაციის საშუალება ვალდებულია უფასოდ გამოაქვეყნოს განცხადება ეროვნული საბჭოს გადაწყვეტილებით, თუ“... და სხვადასხვა პირობებია დაკონკრეტებული. ხედავთ? იქამდეც მივედით, რომ რომელიმე გაზეთში თვით განცხადების გამოქვეყნებას „ეროვნული საბჭოს“ რეზოლუცია დასჭირდება!!!

მე-15 მუხლის მე-4 თავში წერია: „ეროვნული საბჭო დროებით ზღუდავს ინფორმაციის მიღებას კრიტიკული (დახურული) ზონიდან“. ეს კიდევ ერთი მაგალითია ფუნქციის გადამეტებისა, ეს ხომ თავდაცვის სამინისტროსა და პრეზიდენტის უფლებამოსილებაა, ისიც საგანგებო ვითარებისას?

რაც შეეხება „გრანტებს“ და „ომბუცმენს“ (სწორია ომბუდსმენი), ჯერ ერთი, რატომ ვახვავებთ ამ შეედურ-ინგლისურ სიტყვებს, მეორეც, რომელი რწმუნებული აუვა სადავო საკითხების გადაჭრას კანონ-სამართალზე უკეთ? „პრესის თავისუფლების იურიდიული აღიარება ხშირად არ არის საკმარისი, მითუმეტეს, იმ ქვეყნებში, სადაც სასამართლო და სამართალდამცავი სისტემა რეფორმას საჭიროებსო“, — რომ ბრძანებს ბატონი რამაზი, რა გამოდის აქედან? თუ სამართალი არ კმარა, მაშინ კვლავ ძველებური ადმინისტრირება მოვიშველიოთ? არ ივარგებს ასე, მითუმეტეს, ტელეარხ „რუსთავი-2“-ის ამასწინანდელმა ისტორიამ და უმაღლესი სასამართლოს ობიექტურობამ (როგორც ჩანს, „დაბალ“ სასამართლოში „დაბალი“ სამართალია) ჩასახა სამომავლო იმედი, — ყოველ შემთხვევაში, აქეთ უნდა ვისწრაფოდეთ და არა მიღწეული სიმაღლის დაკარგვისაკენ.

რამაზ ბატონი თავისი აზრების განსამტკიცებლად ხშირად იშველიებს „რიგი დასავლეთის ქვეყნების“ გამოცდილებას (როგორც ბევრი სხვა), მაგრამ, ვფიქრობ, ამ სახელმწიფოებში მსგავსი უწყებების არსებობა სულაც არაა საქართველოს ხსნა, რადგან მრავალ ასეთ ქვეყანაში სწორედაც რომ არ არის მსგავსი უწყება და იქ მხოლოდ კანონი, სამართალი არეგულირებს მამედიის მოღვაწეობას. არ დავივიწყოთ ისიც, რომ „რიგი დასავლეთის ქვეყნები“ ჩვენს გაჭირვებულ მამულს ხშირად ისეთ მავნე სულიერ და მატერიალურ პროდუქციასაც გვთავაზობენ, ველურებსაც რომ არ უნდა აკადროს კაცმა.

ახლა დედაქანი, გენეზისიც ვნახოთ ყოველივესი. ინფორმაციის მასობრივი საშუალებების მონოპოლიური უწყების იდეა იმპერიის დაქცევის შემდეგ უმალ გაჩნდა, ის საქართველოში ჯერ კიდევ 1991 წლის დასაწყისში ამოტივტივდა და სცადა შებრძოლება პრესის დღევანდელ კანონთან. სწორედ მაშინ გაცურდა პირველად „მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა დეპარტამენტი“, რომელიც, საბედნიეროდ, უარჰყო ხალხმაც და მაშინდელმა უზენაესმა საბჭომაც. შემდეგ 1993 წელს იყო მცდელობა, შეექმნათ ე.წ. „ინფორმაციის სამინისტრო“, აქაც დემოკრატიის სასარგებლოდ გაკვეთა გორდიას კვანძი სახელმწიფო საბჭოს ერთ-ერთ სხდომაზე პროფესიონალი ჟურნალისტების პროტესტმა. როგორც ხედავთ, ოდნავ სახელშეცვლილი „ეროვნული საბჭო“, ნებსით თუ უნებლიედ, პირდაპირი მემკვიდრეა წინა ორისა და მესამეჯერ უტევს სიტყვის თავისუფლებას საქართველოში, — ახლაც უნდა იმარჯვოს საზოგადოებრივმა აზრმა, საფრთხე ძალიან დიდია.

და ბოლოს, მივმართავ საქართველოს პრეზიდენტს ბატონ ედუარდ შევარდნაძეს. ბატონო ედუარდ, 1993 წელს სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე მრავალი ჟურნალისტის თანდასწრებით თქვენ გაიზიარეთ ჩემი აზრი, რომ ქვეყანაში ერთადერთი, სახელმწიფო რადიო-ტელევიზიის არსებობა დიქტატურაა. „გაძლევთ პირობას, ჩემი მმართველობისას გამოსწორდება ეს საქმე“, — ბრძანეთ თქვენ მაშინ. მეოთხე წელი გადის იმ დღიდან, რადიო-ტელევიზია, არსებითად, კვლავ სამთავრობოა, ალტერნატიული „თამარიონი“ დაიწვა, „იბერვიზია“ გაიძარცვა, ხოლო „რუსთავი-2“ დავა-საჩივრებით გაასავათეს. ამ „მასობრივი ინფორმაციის ეროვნულ საბჭოსაც“ რომ არ უდის დემოკრატიის სურნელი, ესეც ცხადია. როგორია თქვენი აზრი ყოველივეზე?

ზაზა ქინქლაძე

## გარე მოვაჭრეების ნაცვლად ჟურნალისტებს დაერივნენ

სააგენტოს კორესპონდენტს ტელეკომპანია „კავკასიის“ პრეზიდენტმა დ.აქუბარდიამ აუწყა, რომ, გუშინ დაახლოებით 14 საათზე, ბაგშეთა სამყაროს მიმდებარე ტერიტორიაზე, პოლიციის მიერ გარე ვაჭრობის დარბევის დროს, ტელეკომპანია „კავკასიის“ ჟურნალისტებს ხათუნა ჯანგირაშვილს, მაკა ჯანაშიასა და მიშა თეარაძეს დაახლოებით 10-მა პოლიციელმა მიაყენა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა.

## თავდაცვის მინისტრს ახალი მანქანა უყიდეს

როგორც სააგენტოს კორესპონდენტისათვის კარგად ინფორმირებული წყაროდან გახდა ცნობილი, თავდაცვის სამინისტრომ, მინისტრის, ვ.ნადიბაიძისათვის ახალი ავტომანქანა „მერსედეს-500“ შეიძინა. ეს მაშინ, როდესაც პირადად თავდაცვის მინისტრსა და მის ოჯახს, გარდა ახალი შენაძენისა, კიდევ 8 მსუბუქი ავტომანქანა ემსახურება. სავარაუდოა, რომ მერსედესი შეძენილია რუსეთის ფედერაციის თავდაცვის მინისტრის ი.როდიონოვის „ღირსეულად“ დასახვედრად. (იფრინდა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# XI კლასელებისა და აბიტურიენტებისათვის

## სკოლაში შესასწავლი ქართველი მწერლები

# მიხეილ ჯავახიშვილი

## ცხოვრება და მოღვაწეობა

ნოდარ გრიგალაშვილი

### გზანი წამებისანი

დამოუკიდებელი საქართველოს მარცხს ქართველი ერი არ შეგუებია. 1921 წლიდანვე შეიქმნა სხვადასხვა ეროვნულ დაჯგუფებათა და პარტიათა გამაერთიანებელი „პარიტეტული კომიტეტი". მენშევიკები, მომხდარი უბედურების შემდეგ, თუ დამოუკიდებლობამდე ასე არ იქცეოდნენ, დამოუკიდებლობის შემდეგ, მთლიანად დადგნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მხარეზე.

„პარიტეტულ კომიტეტში" საქართველოში დარჩენილ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სხვა წევრებთან ერთად მიხეილ ჯავახიშვილიც შედიოდა. კომიტეტის მიზანი იყო დაპყრობილი საქართველოს გამოხსნა. 1923 წელს კომიტეტის წევრები დააპატიმრეს, მათ შორის მიხეილიც.

ერთ დროს თვითმპყრობელობის წინაალმდეგ მებრძოლი ჯავახიშვილი, ახლა უკვე ბოლშევიკებმა შეაგდეს მეტეხის ციხეში. მიხეილის ყველა მეგობარი დახვრიტეს. დახვრეტა ელოდა ჯავახიშვილსაც, მაგრამ განაჩენის აღსრულებამდე საჭირო იყო დანაშაულის აღიარება და ხელმოწერა. მწერალი მტკიცე უარზე მდგარა, მაგრამ ისეთი საშინელი საშუალებებისათვის მიუმართავთ ჯალათებს. – „ერთ დღეს დედისათვის ნახვის უფლება მიუციათ – წერს მიხეილის ქალიშვილი. – რამდენიმე წუთიანი პაემანი რომ დამთავრდა და მამა საკანში დაბრუნდა, საწოლზე მიწოლილა და მწარე ფიქრები მოსძალებია. ერთ საათს არც კი გაუვლია, რომ ქალის საშინელი კივილი შემოესმა თურმე. ყური მიუგდო და დედას ხმა მოსჩვენებია. გაგიჟებული მივარდნია კარებს, რომელშიც ჭუჭრუტანა ყოფილა გაკეთებული და დაუნახავს, რომ ორ-სამ კაცს გაკავებული მიჰყავთ ქალი, ისეთივე კაბაში გამოწყობილი, როგორც იმ დღეს დედას სცმია. საცოდავ მამას უფიქრია, რომ დედა დაკითხვაზე შეიყვანეს, გამოტეხვის მიზნით აწამეს და საშინელ დღეში ჩააგდეს. სასოწარკვეთილებაში მყოფმა კარებს მუშტებით ბრახუნი დაუწყო. ზედამხედველები რომ საკანში შემოცვივდნენ, უკვე იცოდნენ, რომ მამმა ინსცენირებამ გაჭრა. მამას კი მოუთხოვია: ახლავე შეწყვიტეთ ყოველგვარი ინკვიზიცია. მე მეტის ატანის თავი აღარა მაქვს, მომიტანეთ ჩემი ჩვენება და რაც გინდათ ყველაფერზე ხელს მოგიწერთო, ოღონდ სასწრაფოდ დამთავრდეს ჩემი წამებაო. ასე მოუწერინებიათ მისთვის წამებაზე ხელი.

ასეთივე ბარბაროსული ხერხი მამას მიმართ, როგორც შემდეგ გადმომცეს მათ, 1937 წელსაც ერთხელ კიდევ გაუმეორებიათ, როცა მამა ყალბ ჩვენებაზე ხელს არ აწერდა. გამომძიებელს უთქვამს მისთვის: თუ ახლავე არ მოაწერთ ხელს, თქვენ ცოლ-შვილს აქ მოვიყვანთ, თქვენს თვალწინ ვაწამებთო და ამ სურათს თქვენ გაყურებინებთო".

20 წლის, ანუ მიხეილ ჯავახიშვილის რეაბილიტაციის შემდეგ ჯავახიშვილის „საქმეს" გაცნობილი და მწერლის მტარვალებთან ნასაუბრები საბჭოთა კავშირის გენერალური პროკურორი იტყვის: „დაკითხვის დროს ჯავახიშვილს ისე აწამებდნენ, რომ ის ასეთ ჩვენებაზე კი არ მოაწერდა ხელს, რომელიც ერთ გვერდს შეადგენს, არამედ იმაზედაც მოაწერდა ხელს, რომ ის არის ირანის შაჰი, ასეთ წამებას ის ვერ გაუძლებდაო".

დავუბრუნდეთ კვლავ 1923 წლის მოვლენებს. მას შემდეგ, რაც მიხეილმა ჩვენებაზე ხელი მოაწერა, მას დახვრეტა გადაუწყვიტეს. გაიყვანეს სიკვდილმისჯილთა საკანში და აქ ყოველ ღამეს ჯალათების მოკითხვას ელოდა...

•

3 აგვისტოს დილით მოულოდნელი რამ მოხდა. სიკვდილმისჯილს კარი გაუღეს და 6 თვის ტანჯვის შემდეგ მოულოდნელად გაათავისუფლეს. ეს ამბავი ასე მომხდარა. მიხეილის რამდენიმე მეგობარს, მათ შორის პავლე ინგოროყვასა და ექიმ ნიკოლოზ ყიფშიძეს თავი გადაუდვიათ და იმხანად თბილისში მყოფ სერგო ორჯონიკიძისათვის უთხოვიათ, ქართველი ხალხისათვის ეჩუქებინა ნიჭიერი მწერლის მიხეილ ჯავახიშვილის სიცოცხლე. „რკინის კომისარი" იმ დღეს კარგ გუნებაზე ყოფილა...

ასე რომ, იმჟამად ბედმა დაინდო მიხეილი. მას ხომ ჯერ არ ჰქონდა დაწერილი თავისი თხზულებების უდიდესი ნაწილი, თავისი ბრწყინვალე რომანები და მოთხრობები. არც „ჯაყოს ხიზნები", არც „დამპატიჟე", არც „ტყის კაცი", არც „კვაჭი კვაჭანტირაძე", არც „ქალის ტვირთი", არც „არსენა მარაბდელი", არც „თეთრი საყელო", არც „გივი შადური", სხვანი და სხვანი. განსაკუთრებით შემზარავია იმის წარმოდგენა, რომ ეს თხზულებები ქართულ მწერლობაში არ იარსებებდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ „ხალხის ქომაგები", რომელთაგანაც ხალხს რეპრესიებისა და სისხლისღვრის მეტი არაფერი ახსოვს, დახვრეტდნენ მას, როგორც „ხალხის მტერს", ვითომდა ხალხის საკეთილდღეოდ, ისე როგორც აწამეს და დახვრიტეს მრავალნი.

თუ ვინმე დარჩა ცოცხალი მიხეილის ძველი მეგობრებიდან, 1921–1923 წლების რეპრესიების დროს, 1924 წლის აჯანყების შემდეგ ისინიც დახოცეს. სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლ და წამებულ გმირებს აჯანყების წლისთავზე, 1925 წლის 28 აგვისტოს, მარიამობა დღეს, მიხეილმა პანაშვიდი გადაუხადა.

ეს ნაბიჯი იმ დროში, როცა დახოცილთა ნათესავებიც ვერ ბედავდნენ პანაშვიდზე მისვლას, მოქალაქეობრივი გამბედაობისა და გმირობის დიდი მაგალითი იყო.

1924 წლის ამბების შემდეგ, როცა სისხლში იქნა ჩახშობილი ქართველი ხალხის ბრძოლა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, მიხეილ ჯავახიშვილი იძულებული ხდება ხელი აიღოს პოლიტიკურ მოღვაწეობაზე. ქვეყნის ხსნის უკანასკნელი იმედი ამოიწურა. მიხეილმა მთლიანად ლიტერატურულ საქმიანობას მიჰყო ხელი. ცხოვრობს როგორც პროფესიონალი მწერალი და ცდილობს გარიდებული იყოს ყოველგვარ ორგანიზაციულ საქმიანობას, მაგრამ ბედი მშვიდად ცხოვრებას არ დააცლის.

მწერლის იმ ფიქრებმა და ზრახვებმა, რომელთაც პოლიტიკურ ბრძოლაში არ ეწერათ გამარჯვება, სადინარი ჰპოვეს ჯავახიშვილის მხატვრულ შემოქმედებაში. მართალია, ძალზე ფრთხილად, ალეგორიული ფორმით ახდენს თავისი სატკივარის მხატვრულ სიტყვაში გაცხადებას ჯავახიშვილი, მაგრამ არც „დამპატიჟესა" და არც „ჯაყოს ხიზნების" პათოსი ხელისუფალთ და მათ დაქირავებულ პროლეტკულტელებს შეუმჩნეველი არ რჩებათ, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ჭეშმარიტი მწერლების მიმართ ჯერ მხოლოდ იდეოლოგიური ბრძოლა მიმდინარეობს.

ხელისუფლება ცდილობს ძველი ინტელიგენციის ხელახლა „აღზრდას" და ახალი ცხოვრების ფერხულში ჩაყენებას.

სამუშაო ცნებებად იქცა ფრაზები: „ხალხის მტერი", „თანამგზავრი", „ხალხის ერთგული".

ვინც ხელისუფლების ინსტრუქციებს ეწინააღმდეგება, „ხალხის მტერია". ვინც ჯერ კიდევ ორჭოფობს ძველსა და ახალ სამყაროს შორის – „თანამგზავრი".

ძველი თაობის მწერლები იბრძვიან იმისთვის, რომ თანამგზავრის სახელი მაინც დაიმსახურონ, წინააღმდეგ შემთხვევაში ხალხის „ერთგული შვილები" მათ „ხალხის მტრებად" მონათლავენ და დაღუპვა არ ასცდებათ. ასეთ საწყალობელ მდგომარეობაშია მიხეილ ჯავახიშვილიც, მაგრამ იმხანად მას „თანამგზავრის" პატივი არგუნეს და როგორც „თანამგზავრსა" და „მერყევს", იდეოლოგიურ გაკვეთილებს უტარებენ სასახლის კარის მსახური კრიტიკოსები. ამ მდგომარეობით შეშფოთებული მწერალი ერთგან წერს: „ვინ მომცა ნება, რომ დღევანდელი ყოფიერება ისე ავწერო, როგორც ვხედავ და მესმის?"

მიუხედავად ამ დაძაბული ვითარებისა, მწერალი დიდის ენერგიით განაგრძობს შემოქმედებით მუშაობას.

20-იან წლებშივე იგი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული პროზაიკოსი ხდება საქართველოში.

ერთის მხრივ მკითხველთა დიდი სიყვარულითა და პატივისცემითაა გარემოსილი, მეორე მხრივ კი პროლეტარული მწერლობის წარმომადგენლები უტევენ და მის ყოველ ნაბიჯს აკრიტიკებენ, რის გამოც ჯავახიშვილს ერთ-ერთი გამოსვლის დროს მათი მისამართით უთქვამს: „ჩვენი ადმინისტრაციული დაშინებითა და მუქარით პროლეტარულ მწერლებს წინ ვერ წასწევთ. გაუნათლებელი და უშრომელი მწერალი, კლასიკოსი ვერ გახდება. თქვენ მწერლის ფსიქოლოგიას არავითარ ანგარიშს არ უწევთ. შემოქმედებითი შეჯიბრის გეშინიათ და იმიტომ მებრძვით. კვაჭი დავხატე, მითხარით: ეს შენა ხარო, ჯაყო და თეიმურაზიც შენ თვითონ ხარო, გივი შადური შენი პორტრეტიაო, ახლა ისღა დამრჩენია, ორსული დავხატო და იმაზედაც მეტყვით, ესეც შენა ხარო".

როგორც ვხედავთ, ჯერჯერობით მწერალს თავის მართლების უფლება მაინც აქვს. რამდენიმე წლის შემდეგ ამ უფლებასაც წაართმევენ და, ზემოთნახსენებ პროკურორ რუდენკოს თქმისა არ იყოს, რომ დააბრალონ ირანის შაჰი ხარო, ამაზედაც ხელი უნდა მოაწეროს, რომ უთხრან, მდინარე ალმა მიდისო, მიდის და მერე როგორ, მიჩუხჩუხებსო – უნდა დასძინოს...

გაგრძელება იქნება

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საქართველო" №13,14

# ფრანგული პრესა ქართველ დიპლომატთან დაკავშირებული ტრაგედიის შესახებ

*„მას სასმელის სუნი ასდიოდა და 130 კილომეტრით საათში მოჰქროდა"* – ამტკიცებენ ამერიკელი პოლიციელები, როდესაც სიტყვა გიორგი მახარაძეზე ჩამოვარდება. „მათ სასმელის სუნი ასდიოდათ" – აცხადებენ ვაშინგტონელი პოლიციელების ნიუ-იორკელი კოლეგები, როდესაც ბორის ობნოსოვსა და იური ორანჯს იხსენებენ. გიორგი მახარაძე ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს საელჩოს „მეორე კაცია". 4 იანვარს, ფედერალური დედაქალაქის შუაგულში, მისი ფორდი მანქანას შეეჯახა, ააყირავა და მეორე მანქანას მიაგდო. თექვსმეტი წლის ჰოვიან ულტრიკი ადგილზევე გარდაიცვალა.

მეორე შემთხვევის გმირები რუსი და ბელორუსი დიპლომატები არიან. 29 დეკემბერს მათი მანქანა პოლიციამ გააჩერა და ჩათვალა, რომ მძღოლი და მისი მგზავრი „ნასვამ მდგომარეობაში" იყვნენ. პოლიციელებმა მძღოლს მანქანის მართვა აუკრძალეს. ამას შეკამათება, მერე კი შეხლა-შემოხლა მოყვა. ობნოსოვმა „ბრძოლის ველი" ნაღრძობი მკლავითა და გატეხილი სათვალეებით დასტოვა. ორივე დრამის გმირები დიპლომატიური იმუნიტეტით სარგებლობენ. სწორედ ამან გამოიწვია, რომ ორივე შემთხვევამ „ეროვნული კამათის" განზომილება მიიღო.

გაზეთები ერთ კითხვას სვამენ: დგანან თუ არა დიპლომატები კანონზე მაღლა? შეუძლიათ თუ არა მათ, სახელმწიფოთა შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, ყოველგვარი რიდის გარეშე დაარღვიონ კანონი, ჩაიდინონ დანაშაული და დაუსჯელნი დარჩნენ? ნიუ-იორკის მერმა რუდოლფ ბიუკანენმა ჩხუბისთავი დიპლომატების ქვეყნიდან გაძევება მოითხოვა. ამას მოყვა „კომპენსაციის მოთხოვნა" რუსეთის მხრიდან, ხოლო მოსკოვში ავტოინსპექციამ მეორე დღიდანვე ნამდვილი ნადირობა მოაწყო უცხოელი დიპლომატების მანქანებზე. რაც შეეხება ქალიშვილის სიკვდილს, ამერიკის მთავრობამ მტკიცედ მოითხოვა დამნაშავის დასჯა. საქართველოს მთავრობას ეთხოვა მოეხსნა იმუნიტეტი დიპლომატისთვის.

ამ საქმემ ყველა ქვეყნის სამართალდამცავი დაწესებულებების ინტერესი გამოიწვია. განსაკუთრებული ყურადღებით ადევნებდა თვალს მოვლენათა განვითარებას საფრანგეთი. ქართველი დიპლომატის თავს დატეხილი უბედურება, ფრანგებს ზაირელი დიპლომატის შემთხვევას ახსენებს: მან ორი ყმაწვილი იმსხვერპლა ავტოკატასტროფაში, მაგრამ იმუნიტეტის წყალობით სასამართლოს გადაურჩა. ზაირის მთავრობამ განაცხადა, რომ დიპლომატიური იმუნიტეტი პიროვნებას კი არ ეძლევა, არამედ სახელმწიფოს, ამიტომ დღის წესრიგში თვით სახელმწიფოს ღირსება დგება.

ამ იმუნიტეტის წყალობა იყო, რომ ცივი ომის ეპოქაში ბევრი ამერიკელი მზვერავი დაუსხლტა KГБ-ს კლანჭებს. მაგრამ საქართველოს პრეზიდენტმა, ედუარდ შევარდნაძემ, გადაწყვიტა, შეენარჩუნებინა ის თბილი ურთიერთობები, რომელიც მას ამერიკასთან აკავშირებს და რომელიც ფინანსური დახმარების საფუძვლად იქცა. ეს სიახლოვე ჯერ კიდევ შევარდნაძის საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე ყოფნისას ჩაისახა. ამრიგად, საქართველოს პრეზიდენტმა ერთობ უჩვეულო გადაწყვეტილება მიიღო. მან უბრძანა გიორგი მახარაძეს, რომელიც პირველივე თვითმფრინავით აპირებდა სამშობლოში გამომგზავრებას, დარჩენილიყო ვაშინგტონში ძიების დასრულებამდე. ბატონმა შევარდნაძემ განაცხადა, რომ იგი „მზადაა" დიპლომატიური იმუნიტეტი მოუხსნას დამნაშავეს.

გაოცებულმა ამერიკულმა ადმინისტრაციამ დადებითად შეაფასა საქართველოს პრეზიდენტის „გაბედული ინიციატივა", თუმცაღა, ეს შეიძლება „მოწამლული საჩუქარი" აღმოჩნდეს. მახარაძის დასჯა, რაღა თქმა უნდა, მხარს გაუმაგრებს ზნეობისა და სამართლიანობის მოთხოვნებს, მაგრამ, ამავდროულად, შექმნის პრეცენდენტს. ხვალ, შეიძლება, თვით ამერიკელი დიპლომატების იმუნიტეტი დადგეს კითხვის ნიშნის ქვეშ.

ლორან ზეჩინი („მონდი")

ფრანგულიდან თარგმნა გიორგი ეპიზაშვილმა

# როცა ენას გვგლეჯდნენ...

სტენოგრაფიული ანგარიში საქართველოს მწერალთა ღია კრებისა. 1978 წლის 11 აპრილი. თავმჯდომარეობს ნ. დუმბაძე

## გურამ ფანჯიკიძე: ეს მშვენიერი მწერალი ნაძირალა აღმოჩნდა

მე ალარც კი მინდოდა გამოსვლა, უკვე იმდენი რამ ითქვა, გამეორება იქნება, მაგრამ მაინც ვიტყვი ორ სიტყვას.

ძვირფასო მეგობრებო!

ყველამ კარგად ვიცით, რა პასუხსაგებ მოვლენაზე ვმსჯელობთ დღეს. ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ბევრი აქ გამოსული და არა მარტო აქ, არამედ ყველგან, სადაც კი მსჯელობენ საქართველოს ახალი კონსტიტუციის თაობაზე, ლაპარაკობენ აღგზნებულად, ემოციურად. სხვანაირად შეუძლებელიცაა, ყველას გულთან მიაქვს ის მუხლი, სადაც ქართული ენის თაობაზეა ლაპარაკი.

ხშირად ადამიანმა შეიძლება ვერ მოზომოს, გადააჭარბოს, მოვლენები მთელი სიღრმით ვერ შეაფასოს, მაგრამ ამან არ უნდა მოგვცეს შეშფოთების მიზეზი, რადგან ეს ხალხი ჭეშმარიტი მამულიშვილები არიან, ხოლო ეს გადაჭარბებანი გამოწვეულია მათი მღელვარებით, პასუხისმგებლობის გრძნობით. რასაკვირველია, აქ არ ვგულისხმობ პროვოკატორებსა და იაფფასიანი პოპულარობის მოპოვების მსურველებს, რომლებიც, სამწუხაროდ, საკმაოდ ბევრნი არიან.

დიახ, ისევ ვიმეორებ, მე უფრო საპატიოდ მიმაჩნია ის გადაჭარბება, რომელიც ენის ბედზე ჩაფიქრებულ კაცს მოსდის, ვიდრე ზოგიერთების მიერ „ჭულების დაგროვების" პოლიტიკა და არაგულწრფელობა.

მაგალითად, ჩემზე ძალიან ცუდი შთაბეჭდილება დატოვა ამხ.კუპრავას გამოსვლამ ცენტრალურ კომიტეტში, რომელიც „დაძლა" აკაკი ბაქრაძეს და დაუპირისპირდა კულტურის სამინისტროს სახელით. თუმცა იქ აკაკი ბაქრაძე გამოვიდა არა კულტურის სამინისტროს სახელით, არამედ პირადად თავის სახელით.

ასევე მოიქცა ბევრი ცნობილი მეცნიერიც, რომლებმაც საიუბილეოდ თუ რაღაც მიზეზებისათვის არ გაამწვავეს მდგომარეობა.

ამიტომ მირჩევნია ამ ხალხის აზრებს გულწრფელი ადამიანების გამოსვლა მთელი თავისი შეცდომებით თუ გადაჭარბებით.

მე ისიც მინდა მოგახსენოთ, რა ვთქვი გუშინ ცენტრალურ კომიტეტში ამხ.შევარდნაძესთან შეხვედრისას. თუ აქ რამე დავამატო, აგერაა ნოდარ დუმბაძე და გამაჩეროს. ამას წინათ ვიმოგზაურე ფიჯის კუნძულებზე და სინგაპურში. ფიჯიზე ადგილობრივი მოსახლეობა შეადგენს 7 პროცენტს. სხვათაშორის, ოფიციალურად ფიჯელებმა უკანასკნელი კაცი შეჭამეს 110 წლის უკან. ეს იყო ინგლისელი კათალიკოსი. მისი მოხარშული ფეხსაცმლის ლანჩა დღესაც ინახება ფიჯის დედაქალაქის სუვას მუზეუმში.

(ნ.დუმბაძე – მოხარშული ლანჩა არ გითქვამს გუშინ).

ახლა ვამბობ. ეს ინგლისელი ეპისკოპოსი იყო. თორემ მას მერე რამდენი უცხოელი კაცი შეჭამეს, ღმერთმა უწყის. დანარჩენები არიან ინგლისელების მიერ შესახლებული ინდოელები და თვითონ ინგლისელები. მიუხედავად ამ უმცირესობისა, ოფიციალური ენა მაინც ფიჯის ენაა, რადგან პატივს სცემენ კუნძულების ძირეულ მოსახლეობას. განა ინგლისელი იმპერიალისტები ჩვენს ჰუმანურ უფროს ძმებს უნდა ჯობნიდნენ?..

ასევე სინგაპურის ტერიტორიაზე მალაიზიელები უმცირესობას შეადგენდნენ – 14%-ს. დანარჩენები არიან შემდეგ მოსული ჩინელები და ინგლისელები. ოფიციალური სახელმწიფო ენა აქაც მალაიზიურია, ადგილობრივი ხალხის საპატივცემულოდ.

აქ ერთი ფაქტი მინდა კიდევ დავამატო, რაც ცენტრალურ კომიტეტში არ მითქვამს. ახალ ზელანდიაში, ქალაქ ოკლენდში ერთი საუკეთესო ადგილი ჰქონდათ გამოყოფილი ქალაქის ახალი ცენტრისათვის. პროექტებიც დამუშავებული იყო. ზღვის მხრიდან შემოსული გემებისათვის ფანტასტიური ხედი უნდა გადაშლილიყო ქალაქისა. ამ სამი თუ ოთხი წლის წინ მოვიდნენ მაორები და თავისი სახლები ჩადგეს საგანგებოდ შემონახულ ტერიტორიაზე. რამდენიმე წელია გრძელდება მათთან ხვეწნა, სხვა ადგილზე დაგასახლებთო, მაგრამ აქედან არაფერი გამოდის. კანონის ძალით ერთ დღეში შეუძლიათ ისინი გაასახლონ, მაგრამ ამას იმიტომ არ აკეთებენ, რომ ისინი კუნძულის მკვიდრი მოსახლენი არიან.

ერთი სიტყვით, მე ამით ის მინდა ვთქვა, რომ როცა რესპუბლიკაში აღიარებ ადგილობრივი ენის უპირატესობას, ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ ჩვენ რომელიმე ენას ვავიწროვებთ ან ვჩაგრავთ.

მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ: „არ მეგულება მსოფლიოში უფრო ინტერნაციონალური ერი, ვიდრე ქართველი ერია. ჩვენ ხშირად ვამბობთ, საქართველოში ამდენი და ამდენი ერის წარმომადგენელი ცხოვრობსო. რის შედეგია ეს, თუ არა ჩვენი ინტერნაციონალური თვისებებისა? ამიტომ უსაფუძვლო ბრალდებას ნურავინ შემოგვახვევს თავზე. როცა ჩვენ ჩვენი ენის უპირატესობას მოვითხოვთ, ამით ვინმეს კი არ ვავიწროებთ, არამედ ხაზს ვუსვამთ, რომ ჩვენ აქ მოსულები კი არა ვართ, როგორც სხვა ერების წარმომადგენლები, არამედ ჩვენი ფესვები ურარტუდან მოდის. ჩვენ აქაურები ვართ, ეს არის ჩვენი მიწა, ეს არის ჩვენი ენა, ეს კონსტიტუციაც არის ჩვენი (ტაში). ხომ ასე ვთქვი გუშინ, ბატონო გრიშა? (გრ.აბაშიძე – კი, ნამდვილად ასე თქვი).

ამხ.ე.შევარდნაძის გულისხმიერებამ და დაპირებებმა ყველას დიდი იმედი ჩაგვისახა გულში.

გარდა ამისა, ჩვენ უნდა ვისწავლოთ კონსტიტუციის მუხლების გამოყენება და ცხოვრებაში დამკვიდრება.

სსრ კონსტიტუციაში ხაზგასმითაა დაკანონებული, რომ ერებმა პატივი უნდა სცენ ერთმანეთს.

მაგრამ ეს კანონი მარტო იმიტომ კი არ არის შემოღებული, რომ მარტო ქართველებმა სცენ პატივი სხვას. კეთილ ინებონ და ჩვენც პატივისცემით მოგვეპყრან. ერთი მაგალითი მინდა გავიხსენო. შარშანწინ მოლდავეთში ვიყავი საბჭოთა ლიტერატურის დღეებზე. იქ გამოსული მწერლები ვლაპარაკობდით საბჭოთა ლიტერატურის საკითხებზე.

იქ სიტყვით გამოვიდა საკმაოდ კარგი მწერალი, ვოლოგდელი გახლავთ, ასტაფიევი. აი, რა თქვა მან: მე არ მიყვარს არსად სიარული. ახლაც დავაშავე, რომ მოლდავეთში წამოვედიო. აღარ შემიძლია ვუყურო, რა კარგად ცხოვრობენო ეს რესპუბლიკები. ნუთუ აღარ დადგა დრო, რუსმა ერმაც იცხოვროსო კარგად. აქ პამიდორი კილოგრამი 12 კაპიკი ღირს. ჩვენ, ვოლოგდელები კი ვლოცულობთ იმ ქართველ სპეკულანტებზე, რომლებსაც 6 მანეთად ჩამოაქვთ კგ პამიდორიო. ამ მიწაში რუსი ჯარისკაცის ძვლებიც ყრია და კარგად უნდა იცოდნენ, რუსი კაცის ძვლები ორჯერ მეტი ღირს ნებისმიერი ერის კაცის ძვლებზეო. სამწუხარო ის კი არ არის, რომ ეს მშვენიერი მწერალი ნაძირალა აღმოჩნდა. დიახ, ნაძირალა, მე არ მეშინია ამ სიტყვის ხმარებისა. თითო ნაძირალა ყველგან არის, მე ეს არ გამკვირვებია (ტაში). სამწუხაროდ, მე სიტყვით უფრო ადრე გამოვედი და არ შემეძლო პასუხი გამეცა მისთვის. ისე, ბანკეტზე კი მოვახსენე, რაც ერგებოდა. სამწუხარო ის იყო, რომ დარბაზში მქუხარე ტაში გაისმა. რესპუბლიკებიდან თითო-თითო კაცი ვიყავით მიწვეულნი, ხოლო დანარჩენები რუსები იყვნენ. სხდომას მიჰყავდა სსრკ მწერალთა კავშირის მდივანს, გვესწრებოდა მაღალი თანამდებობის სპეციალური პირი. მეგონა, ვინმე მაინც გასცემდა პასუხს ასტაფიევს. არაფერი ამის მსგავსი! როდესაც „ლიტერატურნაია გაზეტამ" გამოაქვეყნა ამ დღეების დღიური, მხოლოდ ასეთი რამ ეწერა: რამდენიმე საკამათო იყო ასტაფიევის და კიდევ ორი კაცის (გვარები არ მახსოვს) გამოსვლაო. ისიც კი არ მიანიშნეს, რა ასპექტში იყო საკამათო ასტაფიევის გამოსვლა. მკითხველი, ბუნებრივია, იფიქრებდა, წმინდა ლიტერატურულ საკითხებშიო.

როგორ არა ჰგავს პამიდორზე მოტირალი მწერალი კიუხელბეკერისა და პუშკინის იმ თაობას, საბერძნეთის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში რომ უნდოდათ წასვლა.

მაგრამ ერთიც უნდა ვთქვა. ჩვენ ემოციური ხალხი ვართ, რაღაც გაგვაღიზიანებს და ავფეთქდებით. ვთქვათ, ის შესწორებანი, რაც ჩვენ ასე გვაღელვებს, შეიტანეს კონსტიტუციაში, ამით ყველა პრობლემა გადაიჭრება?

კონსტიტუციის მუხლები კარგად შევისწავლია, მაგრამ ამ დარბაზში თუ ვინმემ იცის, მერამდენე შვილია მატება ან როგორ მატულობს ქართველი ერი?

თუ სულ 27 ქართველი დავრჩებით, რად გვინდა მაშინ ან ენა ან კონსტიტუცია? ამ ოცი წლის უკან, როცა ბატონი გრიგოლი „დროში"



რედაქტორი ბრძანდებოდა, გამაგზავნა ჩვენს შესანიშნავ მეცნიერთან ჟორდანიასთან, რომელმაც დაარსა ქალთა პათოლოგიის და უშვილობის წინააღმდეგ მებრძოლი ინსტიტუტი.

მან მითხრა, რომ ერის მატება მხოლოდ მე-5 შვილიაო. ეს მაშინ. ახლა უკვე მეექვსე შვილი ემატება ერს. ახლავე აგიხსნით, რაშია საქმე. მესამე შვილით ოჯახი თავის მხრივ ერთ შვილს მატებს ერს. მაგრამ მე-3 და მე-4, ამჟამად მე-5 შვილიც, ანეიტრალებენ უშვილოებს, ერთშვილიანებს, მსხვერპლს. მხოლოდ მეექვსე შვილი ზრდის ერთი ერთეულით ერის საერთო რაოდენობას. ახლა ვიანგარიშოთ, რამდენი ექვსშვილიანი ოჯახია საქართველოში და როგორ მატულობს ქართველი ერი.

განა ეს დასაფიქრებელი არ არის? განა ეს უმთავრესი და სასიცოცხლო პრობლემა არ არის?

ახლა ავიღოთ სულ სხვა საკითხი. ჩვენი საქმოსნები ავრცელებენ ხმებს, თითქოს საქართველო მსუბუქი მრეწველობის ქვეყანაა. ერთი შეხედვით ეს თითქოს სწორია, ჩვენ ხომ საკურორტო ზონა ვართ. ხოლო საკურორტო ზონას არ შეეფერება მძიმე მრეწველობა და მისი უხეში პეიზაჟი, ეს ტყუილია, მეგობრებო! მსუბუქი მრეწველობა ეს ის მრეწველობაა, სადაც საქმოსნები ხელს ითბობენ და ამ ილუზიებსაც იმიტომ ქმნიან. ალბათ თქვენ არ იცით, რომ მთელი საქართველოს ნავთობს სჭირდება იმდენი მუშახელი, რამდენიც ერთი გორის ბამბეულის კომბინატს, სადაც 6000 რუსი ქალიშვილი ჩამოიყვანეს სამუშაოდ, მთელი იმერეთის ქალები შეყარეს ქუთაისის, ჭიათურის და ზესტაფონის სამკერვალო ფაბრიკებში. განა დრო არ არის შევისწავლოთ, რა დარგები უნდა განვითარდეს ჩვენს რესპუბლიკაში, რომელსაც მაქსიმალურად მცირე ხალხი დასჭირდება? საიდან უნდა მოვიდეს მუშათა კლასის შევსება, ჩვენი პატარა ერი გასწვდება ყველაფერს?

ასევე ავრცელებენ ხმას, მთელი ჩვენი საქმიანობა საკურორტო ტურისტული მიმართულებით უნდა წარვმართოთო. ესეც უზარმაზარი შეცდომაა.

თქვენ ყველას გინახავთ ლიძავა, განა ის საქართველოა? ახლა შენდება მთელი ზოლი შავი ზღვის სანაპიროზე. რაც არ უნდა ცუდად გამიგოთ, მე მიხარია, რომ ეს მშენებლობა ფერხდება და გულში ვოცნებობ, ნეტა სულ არ აშენდესმეთქი.

თქვენ ალბათ იცით, რომ ნორმალური სერვისის დროს ერთ დამსვენებელზე ორი მომსახურე პერსონალია საჭირო.

არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ქართველები დღესდღეობით ვართ 3.131.000 კაცი. აქედან მილიონ ასი ათასი თბილისში ცხოვრობს. ვინ მოემსახურება მილიონობით დამსვენებელს, გვიფიქრია ამაზე? მე ვყოფილვარ ისეთ მოდურ საკურორტო ქვეყანაში, როგორიცაა ლიბანი და მისი დედაქალაქი ბეირუთი. საშინელი სურათი ვნახე, მთელი ქვეყანა გადაქცეულია სასტუმროებისა და რესტორნების თანამშრომლებად. თვით ჩვენი მეზობელი ბულგარელებიც ჩივიან – ბულგარეთი ოფიციანტების ქვეყნად იქცაო. ეს საფრთხე მით უფრო დგას ჩვენს წინაშე, რადგან ჩვენ გაცილებით მცირერიცხოვანი ვართ.

აქ რეგლამენტი საშუალებას არ მაძლევს ყველაფერზე ვილაპარაკო, მაგრამ სასიცოცხლო პრობლემები ბევრია.

ვისაც ნამდვილად გვიყვარს ჩვენი ერი, არა მარტო უნდა ვილაპარაკოთ ამ პრობლემებზე, არამედ მთელი ჩვენი ენერგიით უნდა ვიბრძოლოთ მათ გადასაჭრელად (ტაში).

თავმჯდომარე – ცხადდება შესვენება.

(შესვენება)

(შესვენების შემდეგ)

თავმჯდომარე – განვაგრძობთ სხდომას, კიდევ ერთხელ გთხოვთ ნუ გაიმეორებთ, რაც უკვე ითქვა, თქვენი წინადადებები ბრძანეთ და დაიცავით რეგლამენტი. მე გაგაჩერებთ, როგორც კი გადაამეტებთ.

სიტყვა ეძლევა ვაკანდელაკს (ხმა – არ არის, წავიდა), მაშინ სიტყვა ეძლევა ნ.ჯალაღონიას.

გაგრძელება იქნება

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საქართველო" №4,5,6,7,8,9,10,11,12,13,14.

# ჩეჩნები ემზადებიან არძინბასაგან სისხლის ასაღებად...

მეორე გვერდიდან

ხნით ადრე და თქვენ ეს ამბავი უკეთ გახსომებათ. თბილისის ომის დროს გარკვეულმა პოლიტიკურმა ძალებმა ალიაქოთი ატეხეს, კანონიერი ხელისუფლების დასაცავად ჩეჩნები ჩამოიყვანესო. სინამდვილეში იანდარბიევი იყო ჩამოსული რამდენიმე კაცით და შუამავლის როლს ასრულებდა. ეს კეთილშობილური ზრახვა კი გარკვეულმა ძალებმა ანტიჩეჩნური ისტერიის გასაღვივებლად გამოიყენეს. შემდეგ იგივე განმეორდა, როდესაც სამეგრელოში დაიწყო კონფლიქტი ამჟამინდელ ხელისუფლებასა და ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებას შორის. ისტერია გამძაფრდა. საქართველოს ტელევიზია ისეთ აბსურდებს ჩმახავდა, სასაცილო იყო, მაგრამ ხალხზე ეტყობა მოქმედებდა. აბა როგორი დასაჯერებელია ზუგდიდი-გროზნო-გუდაუთას ერთმანეთთან გვირაბებით დაკავშირება, ლონდონამდე გვირაბის გათხრისა არ იყოს. ამას მოჰყვა; რომ რუსეთმა თავისი სააგიტაციო მექანიზმი ჩართო ჩრდილო კავკასიაში და ამუშავდა მთიელ ხალხთა კონფედერაციაში აგენტურა. ეს ორგანიზაცია თავიდან სულ სხვა მიზნებით იყო შექმნილი, მაგრამ აფხაზეთის კონფლიქტის დროს აქ შეიქმნა სამხედრო ნაწილები და მათ მოახერხეს აფხაზეთში გადასვლა. ჩეჩნეთში ჩვენ შევხვდით ამ კონფედერანტთა სამხედრო შენაერთების ყველა ხელმძღვანელს სხვადასხვა დროს: ჯერ იყო საიდ მუჰამედ ჩუპალაევი, შემდეგ შამილ ბასაევი და რუსლან გილაევი. არც ისაა მართალი, რამდენიმე ათასი იყვნენო. დაახლოებით იყო 1000-1500 კონფედერანტი, სადაც ჩეჩენთა პროცენტი 1/5-ია. დანარჩენები იყვნენ ადიღეელები, ყაბარდო-ბალყარელები, ოსები, კაზაკთა საკმაოდ მსხვილი შენაერთი. ყველაზე დიდი პროცენტული მაჩვენებელი ჰქონდათ სომხებს და ამას ჩქმალავდა ჩვენი ხელისუფლებაც და მასობრივი ინფორმაციის წყაროები. ყველა ჩეჩენი ლიდერი აღიარებს, რომ იქ ჩასულები ჩეჩნეთის სახელმწიფოს წარმომადგენლები არ ყოფილან, არამედ იყვნენ რუსეთის მოქალაქეები. ექსპრეზიდენტი იანდარბიევი აღიარებს, რომ აფხაზეთის ომში ჩეჩნების მონაწილეობა იყო შეცდომა და ეს რუსეთის სპეც-სამსახურების მიერ შექმნილი მთიელ ხალხთა კონფედერაციის წარგზავნილები იყვნენ, რუსეთის სპეცსამსახურების მიერ ფინანსდებოდნენ და აფხაზეთში რუსეთის საქმეს აკეთებდნენ. იგივე ღიად განაცხადა ასლან მასხადოვმა ჯერ კიდევ არჩევნების წინ.

– შამილ ბასაევი?

– მასთან ისე ჩაღრმავებული საუბარი არ გვქონია. შევხვდით რამდენჯერმე წინასაარჩევნო მიტინგზე. იგი ცოტა სხვანაირი კაცია. ჩაიდინეს და ჩაუჯინდნენ: აღიარე, აღიარე შეცდომაო. ისიც გაჯიქდა და გაკერპდა. ასეთი ხასიათი აქვს ადგა და მიახალა: კიდევ წავალ აფხაზეთში თქვენს წინააღმდეგ საომრადო. სინამდვილეში კი ამას არ იზამს. თუმცა გააჩნია, წინასწარ არავინ იცის, ვინ რას გააკეთებს. ჩვენ ვიყავით მასთან ცენტრალურ შტაბში, მაგრამ არ დაგვხვდა ადგილზე. ვნახეთ საიდ მუჰამედ ჩუპალაევი და ჩეჩნეთისა და კავკასიის გმირი ალხაზური. მგონი, მას ეს გმირობა აფხაზეთშიც აქვს მიღებული. იქვე იყო ადიღეელების დელეგაცია, რომლებიც აფხაზების ინტერესებს იცავდნენ ჩვენთან. მწვავე კამათი გაიმართა. პირდაპირ ვუთხარით, რომ ვინც მონაწილეობდა აფხაზეთის კონფლიქტში, დანაშაული აქვთ ჩადენილი საქართველოს წინაშე. დანაშაულის გამოსყიდვა კი მოხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს ხალხი საქართველოს მხარეს დადგება აფხაზეთში და სისხლით გამოისყიდის ცოდვას. გაირკვა, რომ სწორედ ეს მოეწონათ და არა აქედან ჩასულების გიმნაზისტური ლუღლუღი. ჩვენც შევცდით, ისინიც შეცდნენ და ა.შ. უმრავლესობამ თანხმობა განაცხადა, რომ თუ საჭირო იქნება, თქვენს გვერდით ვიბრძოლებთო. გაიგეთ ერთი საინტერესო ფაქტი, რომლის შესახებაც ვიდეომასალა უახლოეს ხანებში ჩამოგვევა. ჩეჩნეთში რუსების შეჭრის შემდეგ შამილ ბასაევმა მობილიზაცია გამოაცხადა. აფხაზეთში დარჩენილი ჩეჩნები დაიძრნენ სამშობლოსაკენ. გზაში მათ დახვდათ არძინბას ხალხი და არ გაუშვეს. არძინბამ 40 კაცი დახვრიტა, ხოლო დანარჩენებმა თურქეთის გზით მოახერხეს აფხაზეთიდან თავის დაღწევა. დაახლოებით 50-60 კაცია გადარჩენილი. ეს ხალხი ემზადება არძინბასგან სისხლის ასაღებად. ასე რომ, კონფლიქტი ჯერ კიდევ წინაა, როგორც აფხაზეთში, ასევე სხვაგანაც.

– აფხაზეთის დელეგაცია ხომ არ გინახავთ?

– იყვნენ იქ.

სპეციალურად გაზეთ „საქართველოსთვის"
მანანა იაშვილი

გაგრძელება იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იყიდეთ, იყიდეთ, იყიდეთ რამე...

## იყიდება

4 ოთახიანი, მაღალჭერიანი, იზოლირებული ბინა ტელეფონით, სარდაფით ფასი 43000 დოლარი ტელ. 95-57-19 ან 34-17-40 (დილა-საღამოს).

3 ოთახიანი, მაღალჭერიანი, იზოლირებული, პრივატიზებული ბინა ქალაქის ცენტრში, ტელეფონით, სარდაფით (22 კვმ), ეზოში მანქანის დასაყენებელი ადგილით ბინის საერთო ფართი 100 კვ.მ. მუდმივი დენი. საწყისი ფასი 40000 დოლარი გრიბოედოვის 5. ტელ. 99-97-79

წეროვანში სამსართულიანი კეთილმოწყობილი საკარაკო სახლი, ხეხილის ბაღით და ტალავერით ფასი 20000 ლარი ტელ. 38-74-04

5 ოთახიანი იზოლირებული ბინა. საცხოვრებელი ფართი 130 კვმ 8 კვ.მ ჰოლი, 12 კვ.მ სამზარეულო, 8 კვ.მ აბაზანა, რკინის კარებით, 3,5 მ ჭერით, 16 კვ.მ ოთახი I სართულზე. მანქანის დასაყენებელი ადგილით. ტელ. 96-65-75. საწყისი ფასი 30000$ იკითხეთ დალი.

3 ოთახიანი, კარგად გარემონტებული ბინა, ალმაშენებლის ქუჩაზე. ტელ. 95-74-63

## ქირავდება

ვაქირავებ 1 ოთახიან იზოლირებულ, გარემონტებულ ბინას, მეტრო „პოლიტექნიკურთან". დამხმარე სათავსოებით, ავეჯით, ტელეფონით. საწყისი ფასი 100 ლარი. ტელ. 38-74-04

ქირავდება 2 ოთახიანი ბინა მიცკევიჩის ქუჩაზე, ავეჯით. ფასი 250 დოლარი. ტელ. 99-75-59; 66-27-65

ქირავდება 3 ოთახიან ბინაში 1 ოთახი. ტელეფონით დელისის მეტროსთან. გოგონებზე, ფასი 50 ლარი. ტელ. 39-56-80

ქირავდება თემქაზე ოროთახიანი იზოლირებული ბინა, ავეჯით. არის გათბობა და ბუნებრივი გაზი. ფასი 80 ლარი. ტელ. 60-31-21

## ავტომანქანა

იყიდება „უაზი-471", უფანჯრებო, 1989 წლის გამოშვება, გარბენი 1000 კილომეტრი. ფასი 8000 დოლარი. ტელ. 93-37-86 მერაბი

იყიდება ავტომანქანა „ფიატ-ქრომა", 1988 წლის გამოშვება. ფასი 5700 დოლარი. ტელ. 96-74-75 გიორგი

იყიდება მანქანა „კრაისლერი" სამი წლის. ფასი 13000 დოლარი. ტელ. 38-71-77

## ვამზადებ

დაწყებითი კლასების მოსწავლეებს ყველა საგანში. შესაძლებელია ბინაზე მისვლაც. ფასი შეთანხმებით. ტელ. 29-16-46

სკოლის მოსწავლეებს ფრანგულ და რუსულ ენებში. ტელ. 67-58-26. 16 სთ-იდან

## სხვადასხვა

იყიდება პროფესიონალური ვიდეოკამერა „სონი", გრუნტიკის ვიდეომაგნიტოფონით. ფასი 800 ლარი ტელ. 38-74-04

იყიდება გარაჟი ორმოთი მთლიანად ლითონის, მაღაზია „ორბიტის" ეზოში. პეკინის 20-ში ფასი 3000 დოლარი ტელ. 37-38-49; 95-26-85

## ვულოცავთ

ჩვენს საყვარელ ჯინა შალამბერიძეს ვულოცავთ დაბადების დღეს.
ვუსურვებთ ჯანმრთელობას, სიყვარულს, ულევ სიხარულს, დიდ ქალურ ბედნიერებას, მუდამ ასეთი ლამაზი და მშვენიერი ყოფილიყავი.
დიდი სიყვარულით შენი „გოგოები".

ჩვენი გაზეთის მთავარი რედაქტორის მოადგილეს ბ-ნ გელა ებანოიძეს!
ჩვენს გელას ვულოცავთ დაბადების დღეს.
გაზეთ „საქართველოს" რედაქცია


შიმშილობა და დიეტა არ შველის - ისევ იმატებთ. ჩვენ დაგეხმარებით დიეტისა და ვარჯიშის გარეშე მიიღოთ და შეინარჩუნოთ სასურველი შედეგი.
ტელ. 22-55-70 ლელა



ექსპრეს აუდიტ სერვისი
EXPRESS AUDIT service
აუდიტორული საქმიანობის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

ექსპრეს-აუდიტ სერვისი

გთავაზობთ შემდეგი სახის აუდიტორულ მომსახურეობას ზოგად აუდიტში:

1. საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის აუდიტორული შემოწმება და შეფასება.
2. საკონსულტაციო მომსახურეობა და რეკომენდაციები.
3. ქონების შეფასება.
4. ბუღალტრული მომსახურება.

მისამართი: თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. №5 II სართული. ტელ. 93-15-89

საქართველო
ვაქვეყნებთ
უფასო
განცხადებებს
დაგვირეკეთ
ყოველდღე:
93-18-41
საქართველო

კომპიუტერული ცენტრი, რომელიც დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით და აღჭურვილია უახლესი ტექნიკით, გთავაზობთ ჟურნალ-გაზეთების, წიგნების, სავიზიტო ბარათების, ნებისმიერი სახის საქმიანი ქაღალდებისა და სხვა სახის ბეჭდვითი პროდუქციის უმოკლეს ვადებში მომზადებას (აწყობა-დაკაბადონება ნებისმიერ ენაზე).
გვაქვს ავტონომიური დენის წყარო.
მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით. ჩვენი ტელეფონია:
93-19-99 (11-დან 19 საათამდე) ვმუშაობთ ყოველდღე.


# რა, როდის და რომელ არხზე

## 20 თებერვალი, ხუთშაბათი

**1** 8.00 ალიონი. 18.00 „მოამბე". მერიდიანი. „პიგია". სპ. აჭარა. რამპა. 20.00 „მოამბე". „ვიდეოპატრული 02". 20.40 „ბასტი-ბუბუს მულტი-პულტი". პროგრამა „დღე". 21.20 მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „კასანდრა" (ვენესუელა). 22.00 „ვესტნიკი" (რუსულ ენაზე). ილია ჭავჭავაძე მრავალსახეობა. მიხეილ მესხი (გახსენება). 23.50 „ქვიშის საათი".

**2** 19.00 „ინფორმაცია მეორე არხი". 19.20 მულტფილმები, სპორტული გადაცემა, ელიტარული ქრონიკა. „ინტერვიუ". 22.00. სარეკლამო ბლოკი და „ინფორმაცია მეორე არხი". 22.30. რუსული მხატვრული ფილმი „მიუხელთებელი შურისმაძიებელნი". პროგრამის დასასრულს - მუსიკა.

**კავკასია** 12.00 დილის გამამხნევებელი ვარჯიში. 12.15 მულტფილმები. 12.30 რეკლამა და მუსიკა. 14.30 ამერიკული მხატვრული ფილმი. 16.30 საინფორმაციო პროგრამა. რეკლამა და მუსიკა. ჩვენი სტუმარი TBS სტუდია.

**ОРТ** 8.00 Телеканал "Доброе утро". 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 1.35 НОВОСТИ. 11.15 "ДЕВУШКА ПО ИМЕНИ СУДЬБА". 12.00 "чтобы помнили". Леонид Быков. 12.40 Клуб путешественников. 13.25 Мультфильм. 13.35 Смак. 14.10 "СЕМНАДЦАТЬ МГНОВЕНИЙ ВЕСНЫ". 3-я с. 15.20 Мультфильмы. 15.55 КВН-ассорти.16.15 Программа Э.Радзинского "Загадки истории". "Убийство Распутина". 17.20 Мультсериал. 17.45 "Остров Чунга-Чанга". Встреча с Д.Тухмановым. 18.10 Тин-Тоник. 18.40 "НИКО И ЕГО ДРУЗЬЯ". 19.05 Рок-урок. 19.35 Вокруг света. 20.15 "ДЕВУШКА ПО ИМЕНИ СУДЬБА". Сериал. 21.10 Час пик. 21.35 Джентльмен-шоу. 22.00 Моя семья. 22.45 Спокойной ночи, малыши! 23.00 Время. 23.45 "НОЧНОЙ ДОЗОР". Детектив. В ролях - П.Броснан, А.Паул, У.Дивэйн (США - Великобритания). 1.45 Муз.Программа "Сиреневый туман". 2.25 Пресс-экспресс. 2.40 "МЕТОД КРЕКЕРА". Сериал.

**РТР** 9.00 Утренний экспресс. 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00, 1.00 Вести. 10.15. Товары - почтой. 10.25 "КЛУБНИЧКА". Сериал. 10.55 Дорогая редакция. 11.20 Товары - почтой. 11.30 Сам себе режиссер. 12.05 "САНТА-БАРБАРА". 12.55, 13.15, 3.20 Товары - почтой. 13.25 Деловая Россия. 14.05 За околицей. 14.20 Двойной портрет. 14.50 Ваш портнер. 14.55 Автограф. 15.00 Мужщина и женщина. 15.40 Репортер. 15.55 Магазин недвижимости. 16.25 Худ. фильм "КРАСАВЕЦ-МУЖЧИНА" 1-я с. Реж.М.Микаэлян. В ролях: М.Неелова, О.Гурченко, О.Табаков. 17.35 Док.фильм "И слышно было вдалеке". 18.00 На пороге века. 18.25 Эксповестник. 18.30 Анонимные собеседники. 19.15 Иванов, Петров, Сидоров и другие. 19.55 Там-там новости. 20.05 Лукоморье. 20.25 Посмотри на себя. 20.40 "КЛУБНИЧКА". 21.10 Момент истины. 21.40 VIP. 22.35 Сам себе режиссер. 23.10 "САНТА-БАРБАРА". 0.10 Развлекательная программа. 1.30 Баскетбол. Чемпионат Европы среди клубных команд. СЦКА - "Шарлеруа" (Белгия). 2.30 Адамово яблоко. 3.10 Только для взрослых.

**НТВ** 8.00, 8.30, 9.00, 9.30, 10.00, 10.30, 11.00, 11.30 Сегодня утром. 8.10, 9.35 Наша летопись. 8.25, 10.45 Криминал. 8.40 Карданный вал. 8.45, 11.50 Градусник. 8.55 За гранью. 9.20 Ретро-новости. 9.40, 11.45 Я - телохранитель. 9.50 В печать. 10.10, 11.25 Час быка. 10.20 Впрок. 10.35 Финансы и бизнес. 10.50 На свежую голову. 11.35 Новости шоу-бизнеса. 12.00 Сегодня утром. 12.15 Утречко. 12.30 Сериал "ДОКТОР КУИН. ЖЕНЩИНА-ВРАЧ" 13.30 Улица Сезам. 14.00 Сегодня днем. 14.20 Книжные новости. 14.35 Деньги. 14.50 Компьютер. 15.00 Открытый мир. 15.05 Шаг из круга 15.25 Английский язык для детей. 15.40 Наш сад. 16.00 Сегодня днем. 16.20 Большое Времечко. 17.05 Сериал "ГАЛИФАКС" (Австралия). 18.00 Сегодня днем. 18.20 Деньги. 18.35 Дистанция 60. 19.35 Сериал "ГОЛУБОЕ ДЕРЕВО". 20.30 Улица Сезам 21.00 Сегодня вечером. 21.35 Герой дня. 22.00 Остросюжетная драма "КЛУБ САМОУБИЙЦ". Реж. Д.Брюс. В ролях: М.Хэмингуэй, М.Поттер (США) 23.40 "Недотепы" С.Альтова.

0.00 Сегодня полночь. 0.40 Ночное Времечко. 1.00 Сериал "СКОРАЯ ПОМОЩЬ". 2.00 Сегодня в полночь. 2.20 Ночное Времечко. 3.00 Кино для всех. "ДРУГАЯ ИСТОРИЯ ЛЮБВИ". Реж. А.Орти де Саратэ. В ролях: А.Бонин, М.Пасик (Аргентина).

## 21 თებერვალი, პარასკევი

**1** 8.00 ალიონი. 18.00 „მოამბე". „ქორეოგრაფიული მოზაიკა". 50/50. 20.00 „მოამბე". „ვიდეოპატრული 02". „ბასტი-ბუბუს მულტი-პულტი". ასპარეზი. პრეს-სტუდია. 22.00 „ვესტნიკი" (რუსულ ენაზე). 22.20 ლატარია ყველასათვის. ტელე-სინე-ვიდეო. 23.50 „ქვიშის საათი"

**2** 19.00 „ინფორმაცია მეორე არხი". 19.20 მულტფილმები, სპორტული გადაცემა. 21.30 სარეკლამო ბლოკი და „ინფორმაცია მეორე არხი". 22.30 ამერიკული მხატვრული ფილმი „ტელმა და ლუიზა" (მთ. როლებში: სიუზენ სარანდონი, ჯინა დევისი, ჰარვი კეიტელი და ბრედ პიტი). პროგრამის დასასრულს - მუსიკა.

**კავკასია** 11.00 დილის გამამხნევებელი ვარჯიში. 11.15 მულტფილმები. 11.30 რეკლამა და მუსიკა. 13.30 მხატვრული ფილმი. რეკლამა და მუსიკა.

**ОРТ** 8.00 Телеканал "Доброе утро". 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 1.50 НОВОСТИ. 11.15 "ДЕВУШКА ПО ИМЕНИ СУДЬБА". 12.00 Моя семья. 12.40 Пока все дома. 13.20 Мультфильм. 13.35 Играй, гармонь любимая! 14.10 И в сердцах будут жить. 14.35 "СЕМНАДЦАТЬ МГНОВЕНИЙ ВЕСНЫ". 4-я с. 15.55 КВН-ассорти. 16.15 Программа Э.Радзинского "Загадки истории". "Убийство Распутина". Часть 2-я. 17.20 Мультсериал. 17.45 Чемпионат мира по лыжному спорту. 19.30 Магия: мир всерхъестественного. 20.20 "ДЕВУШКА ПО ИМЕНИ СУДЬБА". Сериал. 21.10 Человек и закон. 21.45 Поле чудес. 22.45 Спокойной ночи, малыши! 23.00 Время. 23.45 Великие сыщики: Коломбо в детективе "КАК СОВЕРШИТЬ УБИЙСТВО". 1.10 Взгляд. 2.05 "УРОКИ УЛИЦЫ". Остросюжетный детектив. В ролях - К.Рив, К.Бейкер, М.Роджерс (США) 3.45 Пресс-экспресс.

**РТР** 9.00 Утренний экспресс. 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00, 1.00 Вести. 10.15. Медицинский вестник. 10.25 "КЛУБНИЧКА". 10.55 Дорогая редакция. 11.20, 12.55 Товары - почтой. 11.30 L-клуб. 12.05 "САНТА-БАРБАРА". 13.15 Торговый дом "Ле Монти. 13.30 Деловая Россия. 14.10 За околицей. 14.20 Палиха, 14, 14.30 Автограф. 14.35 Чемпионат мира по лыжным видам спорта. 15.55 Магазин недвижимости. 16.20 Чемпионат мира по лыжным спорта. 16.50 "КРАСАВЕЦ-МУЖЧИНА" 2-яс. 17.50 "Ярославский портрет". Док.фильм. 18.00 Соотечественники. 18.25 Эксповестник. 18.30 Арена для сенсаций. 19.15 Иванов, Петров, Сидоров и другие. 19.55 Там-там новости. 20.05 Лукоморье. 20.25 Посмотри на себя. 20.40 "КЛУБНИЧКА". 21.10 Экономическое обозрение. 21.40 VIP. 22.35 L-клуб. 23.10 "САНТА-БАРБАРА". 0.10 Развлекательная программа. 1.30 Ночной экспресс. 2.10 Психологическая драма "ВСЕ ЛЮДИ СМЕРТНЫ". Реж. Ат де Йонг. В ролях: И.Жакоб, С.Ри (Великобритания).

**НТВ** 8.00, 8.30, 9.00, 9.30, 10.00, 10.30, 11.00, 11.30 Сегодня утром. 8.10, 9.35 Наша летопись. 8.25, 10.45 Криминал. 8.40 Карданный вал. 8.45, 11.50 Градусник. 8.55 За гранью. 9.20 Ретро-новости. 9.40, 11.45 Я - телохранитель. 9.50 В печать. 10.10, 11.25 Час быка. 10.20 Впрок. 10.35 Финансы и бизнес. 10.50 На свежую голову. 11.35 Новости шоу-бизнеса. 12.00 Сегодня утром. 12.15 Утречко. 12.30 Сериал "ДОКТОР КУИН. ЖЕНЩИНА-ВРАЧ" 13.30 Улица Сезам. 14.00 Сегодня днем. 14.20 Книжные новости. 14.35 Деньги. 14.50 Компьютер. 15.00 Бонтон. 15.25 Советы астролога. 15.30 Стихогорье. 16.00 Сегодня днем. 16.20 Большое Времечко. 17.05 Сериал "ГАЛИФАКС" (Австралия). 18.00 Сегодня днем. 18.20 Деньги. 18.35 Дистанция 60. 19.35 Сериал "ГОЛУБОЕ ДЕРЕВО". 20.30 Футбольный клуб. 21.00 Сегодня вечером. 21.35 Герой дня. 22.00 Психологический детектив "БАБОЧКИ". Реж.А.Малюков. В ролях: Е.Сафонова, Д.Ольбрыхский (СССР-Польша). 23.40 Программа Е.Шифрина. 0.00 Сегодня вечером. 0.40 Времечко. 1.00 Сериал "СКОРАЯ ПОМОЩЬ". 2.00 Сегодня в полночь. 2.20 Ночное Времечко. 2.40 Эротическая мелодрама "ВСЕ ЛЕДИ ДЕЛАЮТ ЭТО". Реж. Т.Брасс. В ролях: К.Коли, П.Ланца (Италия).

# ლატარია «დაბადების დღე»
# 17 თებერვლის ლატარიის შედეგები

*მომგებიანი ციფრები*

| | | |
|---|---|---|
| 1. დაბადების თვე | 0 | 2 |
| 2. დაბადების რიცხვი | 2 | 2 |
| 3. დაბადების წელი 19 | 4 | 0 |
| 4. ლატარიის ბილეთის ბოლო ორი ციფრი. | 5 | 2 |

თვე და რიცხვის გამოცნობისათვის მოგება 10 ლარი თითოეულს. თვე, რიცხვი და წელი – ნივთმოგება ვიდეომაგნიტოფონი „ფილიპსი“ თითოეულს. ყველა ციფრის გამოცნობისთვის მოგება სუპერ-პრიზი – ბინა.

# ლატარია «დაბადების დღე»
# 19 თებერვლის ლატარიის შედეგები

*მომგებიანი ციფრები*

| | | |
|---|---|---|
| 1. დაბადების თვე | 0 | 2 |
| 2. დაბადების რიცხვი | 1 | 2 |
| 3. დაბადების წელი 19 | 3 | 6 |
| 4. ლატარიის ბილეთის ბოლო ორი ციფრი. | 5 | 7 |

თვე და რიცხვის გამოცნობისათვის მოგება 10 ლარი თითოეულს. თვე, რიცხვი და წელი – ნივთმოგებები ტელევიზორი „ფილიპსი“ თითოეულს. ყველა ციფრის გამოცნობისთვის მოგება სუპერ-პრიზი – ბინა.

10–ლარიანი მოგებები გაიცემა მეტროს სადგურ „წერეთლის“ ვესტიბიულში.

*დანარჩენი მოგებები გაიცემა ფირმის ოფისში*

მის: ალმაშენებლის 89/24 (მეტრო „მარჯანიშვილის“ თავზე), თბილქალაქპროექტის შენობა, V სართული, ოთახი 22.

*გისურვებთ წარმატებას შემდეგ გათამაშებაში.*

## ქართველ დიპლომატს 70 წლით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება

„აშშ–ს საქართველოსთან არა აქვს დადებული ხელშეკრულება მსჯავრდებულთა ურთიერთგაცვლის შესახებ და თუ ქართველი დიპლომატი გ.მახარაძე გასამართლდება აშშ-ში, მაშინ თბილისი ვერ მოითხოვს დანაშაულის მოხდის ვადის ადგილი გადმოიტანოს თავისი ქვეყნის ტერიტორიაზე“ – ასეთი კომენტარი გაუკეთა კომპეტენტურმა წყარომ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროდან ქართველი დიპლომატისათვის დიპლომატიური იმუნიტეტის მოხსნის ოფიციალურ გადაწყვეტილებას. თუმცა ისიც აღინიშნა, რომ ორ ქვეყანას შორის „განსაკუთრებულმა ურთიერთობამ შესაძლოა მომავალში საშუალება მოგვცეს, დაიწყოს მოლაპარაკებები გ.მახარაძისათვის დანაშაულის მოხდის ადგილის შესაცვლელად“.

აშშ–ს კანონით 35 წლის გ.მახარაძის წინააღმდეგ შესაძლოა წაყენებულ იქნეს ბრალდება არაგანზრახული მკვლელობის თაობაზე, რაც 70 წლით თავისუფლების აღკვეთას გულისხმობს. „თუ სასამართლო შედგა, თუ გამოიტანენ განაჩენს ,და მის საფუძველზე გ.მახარაძე ციხეში მოხვდება, საქართველოს პრეზიდენტი ვერ შეძლებს მისი თბილისის ციხეში გადმოყვანას“ – განაცხადეს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო სამართლის ექსპერტებმა. (იფრინდა)

# კაიფვორდი

ეროვნული ბიბლიოთეკა



**მწოლიარედ:** 1. „ანას და ლიზას“ ავადმყოფობის დასტური; 3. „შავ ნაბადში“ გახვეული მთა; 7. ბესიკის სატრფოები დიდი და პატარა... 13. ზაფხულის სასმელი მუსიკალური ნოტა; 14. „ოპერა ცის“ არ მოეწონა; 15. „მეგის“ სახელობის ასო ბერძნულ ანბანში; 17. „ბაქოს“ თრიაქი; 19. „ადამის“ ასული; 20. „ვახოს“ გოგრა; 24. „ვერას“ გაუგებ ამ უბნელებს; 27. მთა, სადაც „იას ბუზები“ ეხვევიან; 28. „ან გოლს“ გაიტანს ეს ქვეყანა ან დამარცხდება; 31. ანბანის ასო სახელად აქვსო; 32. „კორდზე“ დამყარებული გამარჯვება; 33. თითით საჩვენებელი ნაცვალსახელი; 35. „ონის მფარველი“ ეგვიპტის მმართველი; 37. „ორის“ გადამდები სენი; 38. მოძრავი „ბინა“; 40. „ის ანის“ რაიონია; 41. მუსიკალური ნოტა.

**მდგომიარედ:** 2. „წმინდა ნიკოს“ სალოცავი ტაძარი; 4. ფუჭი ანუ... 5. გამარჯვების ქალღმერთი, რომელიც ბრაზილიელებმა სამჯერ მოიტაცეს და დაისაკუთრეს კიდეც; 6. უსინათლო; 7. „ალმოდებული ქაჯი“; 8. ქინძ–ძმარის მოყვარული ულვაშა თევზი; 9. „ირმების“ სანავარდო; 10. „ანის“ ბებია ქალი; 11. „გელას ათი“ მცნების ტაძარი; 12. მხატვრის მიერ შექმნილი „ხატი“; 16. კაცი, რომელიც სპორტსმენებს „სჯის“; 20. „კატების“ სასეირნო ნავი; 21. „ენაა“ საჭირო ამ ქალაქში; 22. „რუსი პაპის“ უძველესი ხელნაწერი; 23. „უჩას“ სასეირნო ადგილი; 25. სამედიცინო ხსნარი, რომელიც დაგწვავს და მოგარჩენს; 26. ჭრილობა, რომელმაც „იარა და „იარა“; 29. „ეკას“ საჩხვლეტი; 30. ბლომად „იშოვი“, კარგადაც დაისვენებ; 31. „აი დაც“ ამას ქვია; 34. „სულ ურას“ ძახილით შეიქმნა ეს ჭურჭელი; 36. ბუნებრივად ვინა გვღებავს ვინა? 39. ღამის ყაჩაღი ფრინველი.

### წინა ნომერში დაბეჭდილი კაიფვორდის პასუხები

**თარაზულად:** 1. ელდორადო; 6. ოფიციანტი; 8. მაკეტი; 10. აირი; 11. ეგზარქოსი; 12. ბოტკინი; 14. ალიზი; 17. ადონისი; 19. თეა; 21. ელექსირი; 22. მილიცია; 25. პალატა; 27. მალუ; 28. ტივი; 30. რუტინიორი; 31. პაკეტი; 32. იაკი; 33. ბოინი; 34. იასონი.

**შვეულად:** 2. დანი; 3. ობიექტივი; 4. მინარეთი; 5. მაკლერი; 6. ორდალია; 7. ტარზანი; 8. მელქიორი; 9. მაგისტრი; 13. კოდექსი; 15. ზონა; 16. ასათიანი; 17. აკუმულატორი; 18. ალექსანდრიტი; 20. ხელფასი; 23. ოკულტიზმი; 24. ეკვატორი; 26. ამიაკი; 29. კივი; 31. პანი.

# საქართველოში ყველაზე გავრცელებული ათასი გვარი

*საქართველოში სულ 25000–ზე მეტი გვარია. პირველ ათასეულში შედიან შემდეგი გვარები: (შენიშვნა – გვარის წინ მოთავსებული ციფრი გვიჩვენებს რაოდენობის მიხედვით ადგილს, გვარის შემდეგ მოთავსებული ციფრი კი ამ გვარის რაოდენობას)*

201. ლაგვილავა 3075
202. შელია 3058
203. ჯიშკარიანი 3055
204. კერესელიძე 3053
205. კუბლაშვილი 3051
206. ჩაჩანიძე 3028
207. ჯანჯღავა 3001
208. კონცელიძე 2999
209. გოგალაძე 2984
210. დევაძე 2984
211. ნადირაშვილი 2980
212. ბაკურაძე 2978
213. ჩხარტიშვილი 2972
214. ფეიქრიშვილი 2970
215. სარალიძე 2968
216. მანაგაძე 2967
217. ავეტისიანი 2962
218. მუშკუდიანი 2957
219. ბერიაშვილი 2924
220. მახათაძე 2924
221. გოგიშვილი 2917
222. დალაქიშვილი 2904
223. არაბული 2903
224. ეაშაყმაძე 2898
225. ნაკაშიძე 2896
226. ჭილლაძე 2896
227. პაველიაშვილი 2895
228. ტყემალაძე 2891
229. ძნელაძე 2871
230. გელაძე 2870
231. მათიაშვილი 2870
232. ჩაკვეტაძე 2853
233. ჭითანავა 2850

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საქართველო“ №13,14

234. გასანოვი 2844
235. ქარჩავა 2836
236. ბაირამოვი 2830
237. წიქარიშვილი 2830
238. ლურწკაია 2828
239. კვინიკაძე 2818
240. ჩაჩუა 2818
241. ცაავა 2814
242. კაკულია 2803
243. ზარქუა 2802
244. გულიაშვილი 2801
245. ადამია 2790
246. ყიფიანი 2790
247. არუთინიანი 2789
248. სამუშია 2783
249. კალანდია 2780
250. მერაბიშვილი 2778
251. თავართქილაძე 2777
252. მეფარიშვილი 2772
253. გვენეტაძე 2750
254. ხაჭაპურიძე 2750
255. ჯღარკავა 2748
256. ასანიძე 2747
257. სიმონიანი 2746
258. ნებიერიძე 2740
259. გუსეინოვი 2731
260. ფირცხალავა 2726
261. ზარანდია 2717
262. ხარებავა 2717
263. ბურდული 2713
264. მურადიანი 2713
265. მინდიაშვილი 2711
266. სილაგაძე 2705
267. ხიზანიშვილი 2697
268. კვირკველია 2693
269. ადეიშვილი 2692
270. ბუკია 2691
271. ოგანეზოვი 2685
272. გველესიანი 2683
273. იმერლიშვილი 2679
274. ტულუში 2677
275. ბასილაძე 2669
276. ბერძენიშვილი 2665
277. გაბისონია 2663
278. გულუა 2658
279. კვირიკაშვილი 2653
280. კობერიძე 2628
281. ლაცაბიძე 2625
282. შამუგია 2623
283. მიმინოშვილი 2622
284. ავალიანი 2612
285. ჯანიაშვილი 2610
286. გოგინაშვილი 2608
287. კუჭავა 2601
288. შამათავა 2601
289. ხატიაშვილი 2601
290. გიორგობიანი 2600
291. ცხადაძე 2598
292. როგავა 2597
293. კინწურაშვილი 2596
294. ბოკუჩავა 2588
295. შანიძე 2588
296. შარაშიძე 2583
297. ბუცხრიკიძე 2579
298. კოხრეიძე 2575
299. სხირტლაძე 2573
300. ჩოხელი 2573
301. ისმაილოვი 2568
302. ნიკოლაიშვილი 2564
303. შათირიშვილი 2547
304. ხორავა 2563
305. ახალაძე 2535
306. საკიანი 2527
307. ფოფხაძე 2527
308. ბენიძე 2525
309. გაბელია 2525
310. ხმალაძე 2522
311. ალანია 2516
312. დემეტრაშვილი 2516
313. ნატროშვილი 2515
314. კილასონია 2514
315. პაპიაშვილი 2512
316. ლურსმანაშვილი 2510
317. ყოლბაია 2503
318. სულაბერიძე 2499
319. ტაკიძე 2495
320. ბერულავა 2486
321. სოფრომაძე 2479
322. ნემსაძე 2477
323. ღვინჯილია 2469
324. გორგილაძე 2467
325. გოცირიძე 2460
326. ყიფშიძე 2460
327. ხოზრევანიძე 2457
328. ნიჟარაძე 2453
329. შველიძე 2445
330. პაპიძე 2440
331. სიმონიშვილი 2433
332. სალუქვაძე 2408
333. ახმედოვი 2402
334. კიკვაძე 2390
335. მკრტიჩიანი 2387
336. ალადაშვილი 2386
337. ინასარიძე 2382
338. დევიძე 2371
339. ახობაძე 2363
340. ძიძიგური 2359
341. ჭიჭინაძე 2348
342. ბეგიაშვილი 2341
343. არჩვაძე 2338
344. ბექანიშვილი 2334
345. კვანტალიანი 2330
346. ქორიძე 2330
347. კირვალიძე 2322
348. ხეცურიანი 2317
349. ტურაშვილი 2311
350. ტყებუჩავა 2310
351. ქანთარია 2299
352. ქარციევაძე 2288
353. ლატარია 2283
354. ბურჯანაძე 2277
355. კახაძე 2274
356. წულუკიძე 2272
357. კველიშვილი 2270
358. მარტიროსიანი 2270
359. კირკიტაძე 2264
360. ხარჩილავა 2255
361. ხალვაში 2235.
362. მოსიაშვილი 2228
363. ცომაია 2228
364. გვაზავა 2226
365. ანთაძე 2225
366. გოგიჩაიშვილი 2224
367. ვასაძე 2220
368. მელიქიძე 2213
369. ჭალალიძე 2206
370. ფარცვანია 2204
371. გუმბერიძე 2201
372. კუპრაშვილი 2198
373. ჭინჭარაული 2195
374. გობეჯიშვილი 2178
375. ჩინჩალაძე 2175
376. ნასყიდაშვილი 2169
377. მარგველაშვილი 2164
378. თაბაგარი 2163
379. ყაველაშვილი 2160
380. რევაზიშვილი 2155
381. უგრეხელიძე 2151
382. კოპაძე 2150
383. პოპოვი 2145
384. მურადოვი 2143
385. ბასილაშვილი 2138.
386. პატარაია 2130
387. თოლორდავა 2127
388. ნუცუბიძე 2127
389. იაშვილი 2122
390. მგალობლიშვილი 2121
391. თედორაძე 2115
392. ირემაშვილი 2112
393. ქურდაძე 2111
394. ცანავა 2104
395. ბერიანიძე 2103
396. პაპაშვილი 2101
397. პაპუაშვილი 2095
398. ბრეგაძე 2094
399. მამულაძე 2085
400. არაბიძე 2080

გაგრძელება იქნება

მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5

გაზეთის ინდექსი 66447

ფასი 50 თეთრი

ტელეფონები:
რედაქტორი: 93–20–36,
რედაქტორის მოადგილე: 93–18–41

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444